ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 7 მარტი, 2023 №46 (9082) ფასი: 80 თეთრი

ვინ არის ბიზნესმენი, რომელიც „დელისთან“ დაჭრეს

გვ.5

„ეს ძალიან ცუდი კანონია!“

თორნიკე შარაშენიძე: „თუ ევროკავშირი გვეუბნება, რომ ეს კანონი არ უნდა მივიღოთ, უნდა გავითვალისწინოთ, ბოლომდე ჩვენს „ხოშზე“ არ უნდა ვიაროთ!“

გვ.2

„ეს არის რუსული სპეცოპერაცია საქართველოში“

გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „ამერიკა გვეუბნება, რომ არ არის ამერიკული და დასავლეთი გვეუბნება, რომ ეს კანონპროექტი არ არის დასავლური ღირებულებების. ამას გვეუბნება ის ხალხი, რომელმაც სტატუსი უნდა მოგვანიჭოს!“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „11 წელია ეს ხელისუფლებაა, ერთი უცხო ქვეყნის აგენტი არ დაუჭერია და ახლა რა გამოდის, კანონს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იღებს“

„კანონპროექტს „აგენტს“ რომ დაარქმევ, ყველაფერი ნათელია“

„ყველაზე მთავარი უკრაინისათვის დონბასის დაბრუნებაა. ყირიმის გათავისუფლება უკრაინის შეიარაღებული ძალების ზურგში რუსეთის დაჯგუფებების ლიკვიდაციას ნიშნავს“

„პუტინის რეჟიმს მხოლოდ სანქციების მეშვეობით საგარეო ზეწოლა შეარყევს“

გვ.4

ნიკა გვარამია: „გრცხვენოდეთ!“

გვ.3

ქართველი ემიგრანტების მიმართვა ევროკავშირის ინსტიტუტებს

გვ.4

„ციხეში იტანჯება... ახლა არის დრო, როცა ბაიდენმა უნდა მოითხოვოს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება“

გვ.3

2 გურამ მაჭარაშვილი: „ვერ წარმოვიდგენდი, აშშ-ში მოქმედი კანონის დაცვა თუ დაგვჭირდებოდა“

6 სააკაშვილი ივანიშვილს სამშობლოს ღალატში აღანაშაულებს

5 ეუთო/ოდირი: „გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება დემოკრატიის ფუნდამენტია“

6 რუსებმა ბახმუტის ალყაში მოქცევა ვერ შეძლეს

1993230720223

„ეს არის რუსული სპეცოპერაცია საქართველოში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

თაკო ჩარკვიანი: „ამერიკა გვეუბნება, რომ არ არის ამერიკული და დასავლეთი გვეუბნება, რომ ეს კანონპროექტი არ არის დასავლური ღირებულებების. ამას გვეუბნება ის ხალხი, რომელმაც სტატუსი უნდა მოგვანიჭოს!“

– ქალბატონო თაკო, საკმაოდ მძიმე ვითარება შეიქმნა. „ხალხის ძალის“ მიერ შემოტანილმა კანონპროექტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. იურიდიული კომიტეტის სხდომა ძალიან ბევრ ოპოზიციონერ დეპუტატს დაატოვებინეს. რა ხდება, რა უნდა „ქართულ ოცნებას“?

– „ქართულმა ოცნებამ“ შემოაგდო ეს ხუთეული, ვითომ „ხალხის ძალა“ და ცდილობენ ქვეყნის ფინანსურად და პოლიტიკურად გაკოტრებას. ფინანსურ იზოლაციაში დატოვებული ქვეყანა რამდენიმე კვირაში პოლიტიკურ იზოლაციაში მოყვება. ეს ძალიან კარგად აქვთ გააზრებული და ემსახურებიან რუსეთს. დღეს რუსეთში არცერთი არასამთავრობო აღარ არსებობს. საქართველოში მილიარდები შემოდიოდა ზუსტად სოციალური მიზნით. შშმ პირებისთვის, განათლების სისტემა, სოფლის მეურნეობა, ცე ჰეპატიტის პროგრამა, კულტურული მემკვიდრეობა – ყველაფერი ამ შემოსულ გრანტებზე იდგა. ეს ყველაფერი მოდიოდა დასავლეთიდან.

– და დღეს რატომ გადაწყვიტეს ამ ყველაფერზე უარის თქმა? საფრთხე ექმნება მათ ხელისუფლებაში ყოფნას?

– რა თქმა უნდა, ისინი გრძნობენ მოახლოებულ საფრთხეს. მეტი რით დაამტკიცოს ხალხმა?! მერამდენედ გამოვიდნენ და თქვან, რომ მედასავლეთეები ვართ? ყველა სწორ მესიჯსა და დასავლეთის მოთხოვნაზე ხალხი ქუჩაში გამოდის. ნახეს, რომ სერიოზული საფრთხე ემუქრებათ.

– ამ კანონპროექტის განხილვაც კი არ შეიძლება, მოდის დასავლეთიდან განცხადებები. განხილვაც კი აზიანებს პროცესს.

– აბსოლუტურად ყველა წესსა და ნორმას არღვევენ. ამ სტატუსის მიღების წინ რატომ აიტეხეს ეს კანონი?! როდესაც ის ადამიანები, რომლებმაც სტატუსის მისაღებად ხმა უნდა მოგვცენ, გვეუბნებიან, ყველა დასავლური ქვეყანა გვეუბნება, რომ ეს კანონი დემოკრატიული არ არის. ამერიკა გვეუბნება, რომ არ არის ამერიკული და დასავლეთი გვეუბნება, რომ ეს კანონი არ არის დასავლური ღირებულებების. ამას გვეუბნება ის ხალხი, რომელმაც სტატუსი უნდა მოგვანიჭოს! ეს ხომ აპრიორი ნიშნავს, რომ სპეციალურად აკეთებს ამას მავნებელი ხელისუფლება, რომ არ მიიღოს სტატუსი. აბა რატომ მოიგონეს ეს კანონი?! 12-პუნქტიანი გეგმა არ შესრულებულა ჯერ, სასამართლო და პროკურატურა რა მდგომარეობაშია და ესენი რაღაც რუსულ კანონებს იღებენ.

– ქალბატონო თაკო, ანუ ეს არის რუსული სპეცოპერაცია, შეგვიძლია, ასე შევაფასოთ?

– ეს არის რუსული სპეცოპერაცია საქართველოში. ჩვენ მაქსიმალურად ყველაფერს ვაკეთებთ, ბოლომდე შევეწინააღმდეგებით. დარწმუნებული ვარ, ხალხს ეს საფრთხე გააზრებული აქვს და ამას მოჰყვება სერიოზული რეაქცია.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ ყველაფერს აკეთებენ, რათა ეს კანონპროექტი სამშაბათის სესიაზე გაიტანონ და პირველი მოსმენით მხარი დაუჭირონ. გაიტანენ?

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ვერ გაიტანონ. რომც გაიტანონ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამას ხელს მოაწერენ, დასანქცირდნენ. წინ ვენეციის კომისიაა და ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, ჩავარდეს ეს კანონი.

– არის ოპოზიციაში სამოქმედო გეგმა?

– რა თქმა უნდა! ოპოზიციაში არის შეთანხმება, სამოქმედო გეგმა და ყველას პოზიცია არის ერთიანი. ხედავთ, პარლამენტს გარეთ როგორი მღელვარებაა. ეს მუხტი მოიმატებს, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ჩვენს არჩეულ კურსს საფრთხე ვერ დაემუქრება! საქართველოს რუსეთისთვის არ გადავაბარებინებთ!

დავიწყეთ აქტიური მუშაობა ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან, დასავლელ პარტნიორებთან, ყველა ის მოღალატე, ამ კანონის მომხრე და ხელის მომწერი იყოს სანქცირებული. ამათი შვილები, ახლობლები და ნათესავები ევროპასა და ამერიკაში იღებენ განათლებას, არ უნდათ დასავლეთი, ჰოდა, აეკრძალოთ მათი ოჯახის წევრებს იქ ცხოვრება და განათლების მიღება! გაუშვან რუსეთში და იქ ასწავლონ.

– სრული მობილიზაციაა პარლამენტში, მკაცრი კონტროლია, ჟურნალისტებს უზღუდავენ მუშაობას. რის ეშინია „ოცნების“ ხელისუფლებას?

– რა თქმა უნდა, ეშინიათ. ეს არის მკვლელობის ჩადენის წინ შიში. დღეს ისინი ჩადიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის მკვლელობას. ყველა მკვლელი ხომ ლაჩარი და მშიშარაა! ჰოდა, მათი შიშიც ამით აიხსნება. ესენი პოლიტიკური ქილერები არიან! აუცილებლად უკან უნდა დავახევინოთ. სხვა გზა არ გვაქვს. ეს რუსული კანონი არ უნდა გავიდეს!

„ეს ძალიან ცუდი კანონია!“

თორნიკე შარაშენიძე: „თუ ევროკავშირი გვეუბნება, რომ ეს კანონი არ უნდა მივიღოთ, უნდა გავითვალისწინოთ, ბოლომდე ჩვენს „ხოშზე“ არ უნდა ვიაროთ!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ვხედავთ, რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია აგენტების შესახებ კანონპროექტმა, რომლის ინიციატორიც „ხალხის ძალაა“. მთელი ოპოზიციური სპექტრი და მოსახლეობის დიდი ნაწილი გაერთიანდა ამ კანონპროექტის წინააღმდეგ, ხელისუფლება კი ხელების გადაგრეხის გზით ცდილობს მის გატანას. რატომ, რა ხდება, რა ჩაიფიქრეს?

– ძალიან მიჭირს იმის ახსნა, თუ რა უნდათ, რა ჩაიფიქრეს. ყოველთვის ვცდილობ, რაციონალური ახსნა მოვუძებნო კონკრეტულ ნაბიჯებს. ამ შემთხვევაში რაციონალურ ახსნას ვერ ვუძებნი. არის მითქმა-მოთქმა, რომ ეს სჭირდებათ იმისთვის, რომ მოასუფთაონ ველი 2024 წლის არჩევნებისთვის, მაგრამ, ხომ ყველა ვხედავთ, ოპოზიცია ისედაც სულს ღაფავს, რა ველი უნდა მოასუფთაონ. ჩემთვის ეს ყველაფერი არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. ცალსახად ეს არის ძალიან ცუდი კანონი. „ოცნებას“ გააქვს ეს კანონპროექტი იმიტომ, რომ არ ჰყავს რეალური ოპოზიცია. არც არასამთავრობო სექტორია ძლიერი. ხელების გადაგრეხით ცდილობენ ამ კანონის გატანას.

– გაიტანენ ძალით ამ კანონს?

– ასეთი პირი უჩანს, სამწუხაროდ. ხომ ვხედავთ, რაც ხდება.

– ვხედავთ, როგორ ძალადობენ, ოპოზიციას დარბაზებიდან ყრიან, ჟურნალისტებს ავიწროებენ. პარლამენტი სუსითაა სავსე. რატომ, რაში სჭირდებათ ეს ყველაფერი?

– მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვერ გავიგე, რა ჩაიფიქრეს. არ მაქვს ამის ახსნა.

– ბატონო თორნიკე, ქუჩაშიც დიდი მღელვარებაა. ამ ხნის განმავლობაში სტუდენტებისგან გავიგონეთ შეძახილები – რევოლუცია. ცუდად ხომ არ დაამთავრებს „ოცნება“?

– არა მგონია, რევოლუცია მოხდეს ამ ქვეყანაში. ცოტა კომიკურია ამ თემაზე საუბარი, თუმცა, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ „ქართული ოცნება“ ცუდად დაამთავრებს.

– პროცესების როგორ განვითარებას ელით? ფაქტია, სიტუაცია უკიდურესად მწვავეა.

– თუ „ოცნებამ“ ამ კანონის მიღება განიზრახა, მიიღებენ კიდეც, ხელს ამაში ვერაფერი შეუშლის. ამ პროტესტსაც გადააგორებენ, როგორც არაერთი გადაუგორებიათ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა მდგომარეობაშია ოპოზიცია. სწორედ ამიტომ მიიყვანა ოპოზიციამ იმ სიტუაციამდე, რომ მერე, რაც მოუნდებოდა, ის გაეკეთებინა.

– ფიქრობთ, რომ ოპოზიცია ვერ გაუწევს სათანადო წინააღმდეგობას?

– რა უნდა ქნან? ჭიდაობას თუ გამართავენ კიდევ, იჭიდავებენ და გამოყრიან. რევოლუციას სულ სხვა რამ სჭირდება. დღეს ამის არანაირი რესურსი ოპოზიციას არა აქვს.

– რამდენად სერიოზული საფრთხე იქმნება ამ კანონის მიღებით? ეს რუსული კანონია თუ ამერიკული?

– თუნდაც გადმოეწერათ ამერიკული კანონიდან ერთი ერთში, ეს არ ნიშნავს, რომ კარგია ჩვენთვის. ამერიკამ ეს მიიღო თავის დროზე კომუნისტური გარემოებების დროს, ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და ასე შემდეგ. საქართველოს თუ უნდა შესვლა ევროკავშირში, უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის რეკომენდაციები და რჩევები. ყველა ქვეყანა, რომლებიც შედიან ამ გაერთიანებაში, ნაწილობრივ თმობს თავის სუვერენიტეტს. ასე რომ, ამაში გასაკვირი და დასაგმობი არაფერია. ჩვენც, თუ გვინდა შესვლა, უნდა მივიღოთ მათი წესები და რაღაცებიც უნდა დავთმოთ, ბოლომდე ჩვენს „ხოშზე“ არ უნდა ვიაროთ. თუ ევროკავშირი გვეუბნება, რომ ეს კანონი ცუდია, უნდა გავითვალისწინოთ.

– ამის განხილვაც კი საზიანო და სახიფათოა, არათუ მიღებაო, ვისმენთ შეფასებებს.

– კი ბატონო. და როცა გეუბნება, რომ არ უნდა მიიღო, შენ თუ გინდა მასთან, უნდა გაუწიო ანგარიში. დამთავრდა, ამით ყველაფერი ნათქვამია. მე იმას კი არ ვამბობ, რომ თუ გეტყვიან, წყალში გადახტიო, უნდა გადახტე, მაგრამ, რომ გეუბნებიან, ეს კანონი ცუდიაო, უნდა დაუჯერო.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

გურამ მაჭარაშვილი: „ვერ წარმოვიდგენდი, აშშ-ში მოქმედი კანონის დაცვა თუ დაგვჭირდებოდა“

– მე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი იმას, რომ ამერიკის კანონის განხილვა და დაცვა დაგვჭირდებოდა ჩვენ „ოცნებასთან“ ერთად, ამერიკელებთან და ამერიკისგან დაფინანსებულ ორგანიზაციებთან.

ამერიკაში მოქმედი კანონის დაცვა თუ დაგვჭირდებოდა. მაგრამ, მოცემულობა ასეთია. იქიდან გამომდინარე, რომ სპეკულაციები იყო, რომ რუსული კანონპროექტია და ა.შ. და რომ არ ყოფილიყო სპეკულაციები, ერთი ერთში ამერიკის კანონპროექტი დავაინიცირეთ. აქვე გეტყვით, რომ ჩვენ კონსულტაციების საფუძველზე ეს გადაწყვეტილებაც მიღებული გვაქვს, რომ თუ თქვენ თანახმა ხართ და, როგორც ჩანს, ამაზე მეტი შენიშვნა ამ კანონპროექტთან არ გქონიათ, გარდა ერთისა, რაც გაისმა, რომ თურმე ჩვენ არ ჩავწერეთ პრეზიდენტის უფლებამოსილება შეგნებულად. თანახმა ვართ ჩვენ, თუ შევთანხმდებით, რომ ეს კანონი მივიღოთ, გადმოვიტანთ. რა არის იმაზე უკეთესი, ვიდრე ევროპული სტანდარტი, რომ იყოს გამჭვირვალე ფინანსური, მათ შორის არასამთავრობო სექტორის ფინანსური ანგარიშგების სახით. რაც ყველაზე მთავარია, საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული, ხალხის ძალის პოლიტიკა ეს იყო და იქნება. რამაც გაამართლა, რომ როცა საზოგადოება არის ინფორმირებული, ის არის შეიარაღებული, – ამბობს „ოცნებიდან“ ფორმალურად წასული დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი, რომელიც „რუსული კანონის“ ერთ-ერთი ინიციატორია.

„ოცნების“ ყოფილი მინისტრი და ელჩი „ოცნებას“ უპირისპირდებიან

– უარს თუ ვიტყვით ქვეყნის ევროპულ მომავალზე, მარტო დავრჩებით დღევანდელი რუსეთის წინაშე, – ასე ეხმაურება რუსულ კანონს „ქართული ოცნების“ მთავრობის ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრი და ყოფილი ელჩი გერმანიაში ელგუჯა ხოკრიშვილი.

მისი თქმით, გაურკვეველი კანონპროექტი და ქმედებები ღია დაპირისპირებაა საქართველოს პარტნიორებთან:

– გასულ წელს რუსეთის სამხედრო აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ და უკრაინელი ხალხის სამაგალითო ბრძოლამ დამოუკიდებლობისთვის, ფუნდამენტურად შეცვალა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რამაც გააჩინა შანსი, დაუახლოვდეთ ჩვენს ისტორიულ მიზანს, გავხდეთ ევროატლანტიკური ოჯახის წევრი, რაც არის ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების გარანტია.

ჯერ კიდევ გასულ წელს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მიღება გადავადებულიყო. დღეს ეს გაურკვეველი კანონპროექტი და ქმედებები ღია დაპირისპირებაა ჩვენს მეგობრებთან/პარტნიორებთან. უარს თუ ვიტყვით ქვეყნის ევროპულ მომავალზე, მარტო დავრჩებით დღევანდელი რუსეთის წინაშე, რაც ქვეყნის დაუცველობასა და განვითარების პერსპექტივის დაკარგვას ნიშნავს, – წერს ყოფილი მინისტრი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კანონპროექტს „აგენტს“ რომ დაარქმევ, ყველაფერი ნათელია“

სოსო ცინცაძე: „11 წელია ეს ხელისუფლებაა, ერთი უცხო ქვეყნის აგენტი არ დაუჭერია და ახლა რა გამოდის, კანონს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იღებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, რამდენად არის მოსალოდნელი, „ქართულმა ოცნებამ“ აგენტების კანონპროექტთან დაკავშირებით უკან დაიხიოს?

– სანახევროდ შეიძლება დაიხიოს. კანონის უკან გაწვევა გამორიცხულია. ალბათ, სახელწოდება შეიცვლება. ერთი სიტყვით, „ოცნება“ სახის შენარჩუნებას შეეცდება. უკვე რაღაც სიგნალები წამოვიდა. ქალბატონმა წილოსანმა თქვა, სახელწოდება მეც არ მომწონსო. 11 წელია ეს ხელისუფლებაა, ერთი უცხო ქვეყნის აგენტი არ დაუჭერია და ახლა რა გამოდის, კანონს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იღებს.

კანონპროექტს ეტყობა, რომ იდეოლოგიზებული დილეტანტების დაწერილია. „აგენტს“ რომ დაარქმევ კანონპროექტს, ყველაფერი ნათელია. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კანონპროექტმა, მისმა განხილვებმა გამოავლინა, არის ის, რომ ქვეყანას ნამდვილად არ ემუქრება პროდასავლური კურსიდან გადახვევა. ეს იმდენად ფუნდამენტურია, იმდენად მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ ვერავინ ვერაფერს დააკლებს. რაც შეეხება კონსტიტუციურ ჩანაწერს, კონსტიტუციურ გარანტიას, მისი აღსრულება ნამდვილად გარდაუვალია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ კანონპროექტმა გამოააშკარავა, არის სტუდენტების, ამ ქვეყნის მომავლის განწყობა. ბოლო პერიოდის დემონსტრაციებში ასეთი აქტიური და აშკარა არასდროს არ ყოფილა სტუდენტობის ნება. ეს ალბათ ყველაზე არასასიამოვნო ფაქტია ხელისუფლებისთვის.

ვინ, ვინ და ყველა ხელისუფალმა მშვენივრად იცის სტუდენტების ძალა. მათი მოსყიდვა, მათი მოტყუება და შეშინება შეუძლებელია. ძალიან მარტივი მაგალითი შემიძლია ყველას შევახსენო, როგორ შეუნარჩუნეს სახელმწიფოს სტუდენტებმა ქართული ენა. ეს ის ძალაა, რომელიც ყოველთვის არის მზად, სამშობლოს ინტერესების დასაცავად უანგაროდ იბრძოლოს.

მთელ ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი და დამაიმედებელია ახალგაზრდების, სტუდენტების ურყევი ნება, რომ ისინი ამ ქვეყნის პროდასავლურ კურსს დაიცავენ. მათ იციან დასავლეთის, დასავლური ღირებულებების ფასი. მათ უკვე გემო გაუგეს დასავლეთს. მართალია, დასავლური ცივილიზაციის მთელი ეშხი ჯერ ბოლომდე არ შეუგრძნიათ, მაგრამ პირველი სხივი უკვე იგრძნეს. ეს ძალიან კარგია. ამიტომ ისინი არასდროს არ დათმობენ ამ პერსპექტივას. ამის გაცნობიერება მოუწევს „ქართულ ოცნებას“. უკვე შემდგარი ფაქტია, რომ პროდასავლურმა კურსმა გაუძლო სიმტკიცის გამოცდას. შეიძლება ვთქვათ, ეს კანონპროექტი ამად მაინც ღირდა.

– ევროკავშირის სტატუსს პირდაპირ რომ ურტყამს? შეიძლება ვთქვათ, რომ ხელისუფლებას არ უნდა სტატუსი?

– მიუხედავად ლირიკული გადახვევებისა, როგორიც ჰქონდა, მაგალითად, დედაქალაქის მერს, სტატუსი თავისთვის დაიტოვონო, ასეთი გულახდილობა არც პრემიერისგან, არც მინისტრებისგან პირდაპირ არ მოგვისმენია. შეიძლება ევროკავშირის სტატუსი არ არის მიზანი, რადგან სტატუსს პასუხისმგებლობა მოჰყვება. პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, არ უნდათ, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში ძალიან სუსტები არიან, არა მგონია, ისეთი სულელები იყვნენ, ვერ ხვდებოდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს მათ შეგნებულ უარს ევროკავშირის სტატუსზე.

– ამ ფონზე ხელისუფლებას დასავლელ პარტნიორებთან ძალიან არ გაუჭირდება ურთიერთობა?

– რა თქმა უნდა. ამ დღეებში სამხრეთ-კავკასიური ტურნეს ფარგლებში საქართველოში ვიზიტით ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობების მრჩეველი ჩამოდის. მართალია, ვერასდროს გავიგებთ, ერთი ერთზე რას ეტყვის პრემიერს, მაგრამ ამერიკის გზავნილები ცნობილია. არ გამოვრიცხავ, რომ შეხვედრაზე პრემიერმა მთლად მუქარა არა, მაგრამ მკვახე შეფასებები მოისმინოს. ამერიკელი მაღალჩინოსანი ნამდვილად ეტყვის, რად შეიძლება ეს ქვეყანას დაუჯდეს. ყოველგვარი დიპლომატიური რევერანსების გარეშე ეტყვის, რომ ორჯერ ორი ოთხია. უკრაინის ომის წინ ბაიდენს ღიად არ უთქვამს, რომ უკრაინა ამდენ ტანკს მიიღებდა, ამდენ საჰაერო იარაღს გადასცემდა უკრაინას, მაგრამ ეს გააკეთა. ეს მაგალითებია საიმისოდ, რომ ხელისუფლებამ დაინახოს, უკანდახევა არ არის სისუსტე. თუმცა 30 წლის განმავლობაში არცერთ ხელისუფლებას, გამსახურდიათი დაწყებული, „ოცნების“ ხელისუფლებით დამთავრებული, არ უცდია უკანდახევა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ყველა საკუთარი ინტერესებით მოქმედებდა. კომპრომისები, მოლაპარაკებები თითქოს პოლიტიკისთვის უცხო იყოს. ასე ფიქრობენ, ას უდგებიან და ამიტომაც ვტრიალებთ 30 წელი ერთსა და იმავე წრეზე.

1 ოქტომბრამდე ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, იცით, რა იყო? რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, შურისძიება არ იქნებოდა, მაგრამ ამ ქართულ რეალობას ვერა და ვერ ავცდით. არცერთ ჩვენს ხელისუფლებას არა აქვს გამოცდილება მის მაკრიტიკებლებთან ცივილიზებული თანამშრომლობისა. ეს განგვასხვავებს დასავლური ცივილიზაციისგან.

დიკ დურბინი: „საქართველოს პოტენციურად თვითდამაზიანებელი ნაბიჯები აქვს ასარიდებელი“

ამერიკელი სენატორი დიკ დურბინი იმედოვნებს, რომ საქართველო გააგრძელებს თავის გზას ევროკავშირისა და ნატოს წევრობისკენ.

როგორც სენატორმა განაცხადა, ქვეყანას ამ გზაზე რამდენიმე სერიოზული საკითხი აქვს გადასაჭრელი და რამდენიმე პოტენციურად თვითდამაზიანებელი ნაბიჯი ასარიდებელი, მათ შორის დურბინი ასახელებს „წინდაუხედავ კანონპროექტს“ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.

– იმედი მაქვს, რომ საქართველო გააგრძელებს თავის გზას ევროკავშირისა და ნატოს წევრობისკენ. მას ამ გზაზე რამდენიმე სერიოზული საკითხი აქვს გადასაჭრელი და რამდენიმე პოტენციურად თვითდამაზიანებელი ნაბიჯი ასარიდებელი, როგორიცაა ეს წინდაუხედავი კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი იმ ერის მიერ, რომელიც თავისუფლებისკენ ისწრაფვის. ამ ყველაფრის თავიდან აცილება შესაძლებელია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს უკეთესი და უფრო დაცული მომავალი ქართველი ხალხისთვის, – აცხადებს სენატორი დიკ დურბინი, რომლის განცხადებასაც საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

ნიკა გვარამია: „გრცხვენოდეთ!“

– დღეს ყველაზე გამაყრუებელი მაინც დიპლომატებისა და სამეცნიერო ელიტების დუმილია! გრცხვენოდეთ! – ამის შესახებ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გავრცელებულ წერილში წერს.

– დღეს ყველაზე გამაყრუებელი მაინც ქართველი დიპლომატებისა და საუნივერსიტეტო და სამეცნიერო ელიტების დუმილია!

ეს კონფორმისტული კომფორტზონა აღარაა, ეს სამშობლოს ისტორიული ინტერესების ღალატი და შულავერის კომიტეტობაა! რუსული კაპიკია თქვენი დიპლომატობისა და აკადემიური სტატუსების ფასი!

გრცხვენოდეთ! – წერს ნიკა გვარამია.

თბილისის მერს კორონა დაუდასტურდა

თბილისის მერ კახა კალაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა. ამის გამო მიმდინარე კვირაში თბილისის მთავრობის სხდომა არ გაიმართება.

ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი თბილისის მერიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ცნობით, კალაძე მუშაობას დისტანციურ რეჟიმში გააგრძელებს და სამუშაო ადგილს უახლოეს მომავალში გააგრძელებს.

– თბილისის მერ კახა კალაძეს „კოვიდ-19“ დაუდასტურდა, რის გამოც რამდენიმე დღით იზოლაციაში იმყოფება. შესაბამისად, მიმდინარე კვირაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა არ გაიმართება. კახა კალაძე მუშაობს დისტანციურ რეჟიმში და სამუშაო ადგილს უახლოეს მომავალში დაუბრუნდება, – ვკითხულობთ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ციხეში იტანჯება... ახლა არის დრო, როცა ბაიდენმა უნდა მოითხოვოს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება“

– ერთ დროს რეფორმატორად წოდებული მიხეილ სააკაშვილი ციხეში იტანჯება, – ამ სათაურით სტატიას The Washington Post აქვეყნებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პატიმრობასა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხება.

როგორც სტატიაში ვკითხულობთ, მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პარალელურად, საქართველო ევროპული ინტეგრაციის მიზანსაც ნელ-ნელა შორდება.

Washington Post წერს, რომ თავის დროზე სააკაშვილი პრეზიდენტ ბაიდენს საქართველოში დახვდა, როგორც „მის ძვირფას მეგობარს“, ახლა კი არის დრო, როცა ბაიდენმა უნდა მოითხოვოს მისი გათავისუფლება.

გამოცემა „ქართული ოცნების“ მმართველობაზეც საუბრობს და წერს, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება პუტინისკენ არის გადახრილი, რომელმაც სერიოზულად დაასუსტა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია.

ამასთან ერთად, სტატიის ავტორი პუტინის პირად დაპირისპირებაზეც წერს მიხეილ სააკაშვილთან.

– რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს არ დაუმალავს მისი ზიზღი სააკაშვილის მიმართ, როცა მიუთითა, რომ მიხეილ სააკაშვილი „კვერცხებით უნდა დაკიდოს“. როგორც ამერიკის ელჩმა მოსკოვში, მაიკლ მაკფოლმა აღნიშნა ჩვენს ფურცლებზე, წარმატებული დემოკრატია საქართველოში ან უკრაინაში იყო ანათემა ყველაფრისთვის, რასაც პრეზიდენტი პუტინი იცავდა, – წერს Washington Post. გამოცემა აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, საზღვარგარეთ მიიღოს შესაბამისი სამედიცინო დახმარება, რადგან თუ სააკაშვილი დაიღუპება ციხეში, ეს, დიდი ალბათობით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მისიის სიკვდილიც იქნება.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

„ეს ძალიან ცუდი კანონია!“

– რამდენად შეექმნებათ საფრთხე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ დაფინანსებასა და ზოგადად დემოკრატიას ქვეყანაში?

– არასამთავრობოებს თავისუფლად შეუძლიათ გააგრძელონ საქმიანობა და, თუ მათ ვინმე აგენტს დაუძახებს, ელემენტარულად, დასცინონ. თუმცა, საქმე ისაა, რომ რატომ უნდა ჰქონდეთ მიკერებული ისეთი იარლიყი, როგორიც აქვს რუსეთში?! შეიძლება სიტყვა აგენტი შეცვალონ და უფრო ლამაზი სიტყვა იპოვონ, მაგრამ...

– არსი იგივე იქნება.

– კი, ასეა. შესაძლოა, მართლაც არსებობენ უცხოური ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში აფინანსებენ არცთუ ისე კარგ აქტივობებს. კი ბატონო, ყველგან ხდება მსგავსი რაღაცები, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ არსებობს სპეცსამსახურები. ჩვენ, სხვათა შორის, კარგი სპეცსამსახურები გვყავს. რა აუცილებელია ამ კანონის მიღება ამის გამოსავლენად?!

– ყველა ინფორმაცია ხომ ისედაც აქვთ. მაშინ, რა ხდება?

– მეც ზუსტად მაგას ვამბობ. მართალი გითხრათ, ვერ გამიგია, რა ხდება.

– ეს არის ხელისუფლების დაკარგვის შიში და მზადება 2024-ის არჩევნებისთვის, რომ ველი მთლიანად მოასუფთაონ?

– რა ვიცი, მეტი რა უნდა მოასუფთაონ, ისედაც მოსუფთავებული არ არის?! მთლიანად რომ გაერთიანდნენ, მაქსიმუმ 20% აიღოს ოპოზიციამ.

– ამერიკის ელჩიც აცხადებს, რომ ამ კანონის მიღება ქვეყნისთვის გამანადგურებელი იქნება. სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვები, რა არის მათი მიზანი, რატომ მიდიან ასე ჯიქურ მაინცდამაინც სტატუსის მიღების წინ? ვერ ვიღებთ ამომწურავ პასუხებს.

– გეთანხმებით, არ არის მათი პასუხები ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი. როგორც ჩანს, იმის იმედი აქვთ, რომ დღეს ევროპას იმდენად სჭირდება საქართველო, არ გარიყავს. ამიტომაც ფიქრობენ, რომ გაუვათ ეს კანონი. არის იმის შანსი, რომ გაუვიდეთ კიდეც.

– იმის შანსიც ხომ არის, რომ ევროპასაც ყელში ამოუვიდეს ჩვენი ფერება და ზურგი გვაქციოს? ხომ შეიძლება, საბოლოოდ ჩაიქნიონ ხელი? ვაბანკზე მიდის „ოცნება“?

– ეტყობა, მაინც იმედი აქვთ, რომ ევროკავშირს დღეს საქართველო სჭირდება არსებული ვითარებიდან გამომდინარე, თუნდაც როგორც გეოგრაფიული ერთეული. გარდა ამისა, უზარმაზარი ფული აქვთ ჩადებული ამ ქვეყანაში. მე ნამდვილად არ მინდა, რომ საქართველო გაირიყოს ევროკავშირიდან ამ კანონის გამო. თუმცა, როცა ასეთ ჯიქურ რეაქციას ესვრი ევროკავშირს, ცხადია, მათი მხრიდან რეაქცია მოჰყვება.

– ეს რუსული სპეცოპერაციაა. თქვენ შეაფასებთ ასე?

– რა გითხრათ. მე ასე მარტივადაც არ ვუყურებ საქმეებს.

– აგორდება სერიოზული საპროტესტო მუხტი?

– არა მგონია. ვინ უნდა ააგოროს?! ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ხომ ვუყურებთ, რაც ხდება. ვერ ააგორებენ იმხელა მუხტს, რომ ამათ შეეშინდეთ და უკან დაიხიონ. ამით მშვენივრადაც სარგებლობენ. რა გავლენა აქვთ არასამთავრობოებს ისეთი, რომ დიდი რაოდენობით ხალხი გამოიყვანონ ქუჩაში?! მოსახლეობის რამდენ პროცენტს აინტერესებთ რეალურად ამ კანონის არსი? პრინციპში – ძალიან ცოტას.

– ხალხისთვის გასაგებ ენაზე არ მიმდინარეობს ამ ყველაფრის განმარტება, ვერ იგებს მოსახლეობა, რა საფრთხე ემუქრება.

– კი, ეგ პრობლემა ნამდვილად არის. პოლიტიკოსებმა გაწყვიტეს კონტაქტი მოსახლეობასთან.

– არავინ არაფერს უხსნის და მერე გვიანი არ იყოს...

– გეთანხმებით. სამწუხაროდ, ასეა. მართალს ამბობთ... ყველა ვთანხმდებით ერთზე, რომ ამ კანონის მიღება კარგს არაფერს მოიტანს. შედეგი ცუდი იქნება.

„პუტინის რეჟიმს მხოლოდ საქციების მეშვეობით საგარეო ზეწოლა შეარყევს“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთმა უკრაინის ფრონტზე ბევრი მარცხი განიცადა. გადამწყვეტი ბრძოლები წინაა. უკრაინის ნაწილი რუსეთის ხელშია. უკრაინის ყველა მიტაცებული ტერიტორიის გათავისუფლების შემდეგ გარდაუვალია ძვრები, რომლებიც სხვა ქვეყნებსაც შეეხება. მაგალითად, ამის შემდეგ საქართველოში შენელდება ან განულდება იმ ძალების თარეში, რომლებიც თავიანთი განცხადებებითა და კანონპროექტებით ამკვიდრებენ აზრს, თითქოს დასავლეთი საქართველოს მტერია.

უკრაინელი თადარიგის პოდპოლკოვნიკი, სამხედრო მფრინავი-კონსტრუქტორი რომან სვიტანი უკრაინულ მედიასთან ასახელებს ყირიმის ნახევარკუნძულის გათავისუფლების ვარიანტებს და სხვა საკითხებსაც განიხილავს. მისი აზრით, პუტინის რეჟიმს მიტაცებული ტერიტორიების დაკარგვა კი არა, სანქციების შედეგად გამოწვეული ფინანსური პრობლემები შეარყევს.

– ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილმა სარდალმა ბენ ჰოჯესმა ახლახან განაცხადა, რომ უკრაინას ყირიმის გათავისუფლება შეუძლია მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლომდე. როგორ შეაფასებთ ამ პროგნოზს?

– ასეთი სცენარი შესაძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმ სამხედრო ტექნიკის რაოდენობაზე, რომელსაც გადმოგვცემენ. დასავლეთის დახმარების გარეშე ყირიმს ასე სწრაფად ვერ გავათავისუფლებთ. ჩემი აზრით, უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის არსებობს ორი სცენარი.

პირველი – რუსეთის გარნიზონების განადგურება შორი მანძილის რაკეტებით. თუ ასეთ რაკეტებსა და ავიაციას მოგვცემენ, ამ გარნიზონებს ჰაერიდან გავანადგურებთ. რუსებს გასვლა მოუწევთ, ვინაიდან ისინი ყირიმში აღმოჩნდებიან ოპერატიულ ალყაში. ამის შემდეგ უკრაინის ჯარები შევლენ ყირიმში.

მეორე – უკრაინის ჯარების ფრონტალური შესვლა ნახევარკუნძულზე. თუ შორ მანძილზე მოქმედ სისტემებს არ მოგვცემენ, დაგვჭირდება არტილერიის ბევრი მსუბუქი და მძიმე ტექნიკა და საბრძოლო მასალები.

– ჰოჯესის გეგმა უფრო ახლოსაა პირველ ვარიანტთან?

– დიახ. ამ ვარიანტით ყირიმი მთელი და უვნებელი რჩება მცირე დანაკარგებით.

– წარმოვიდგინოთ, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები მივიდნენ ყირიმთან, ნახევარკუნძული მოექცა იზოლაციაში. შეუძლიათ რუსეთის ჯარებს კეთილი ნების ახალ ჟესტზე წასვლა?

– მათ სხვა გამოსავალი არ ექნებათ. ლოჯისტიკის ნგრევის პირობებში არმია, მაქსიმუმ, ორ კვირას გაძლებს. ქვედანაყოფებს არმიის მარაგები ამოეწურებათ.

– ყირიმის ხიდს რა ელის? ხშირად ისმის, რომ ესტაკადის დანგრევა რთულია, თუმცა შესაძლებელია იმდენად დაზიანება, რომ სამხედრო ლოჯისტიკისთვის ხიდი აღარ გამოიყენებოდეს.

– დანგრევა ყველაფრის შეიძლება. გააჩნია საბრძოლო მასალების ხარისხსა და რაოდენობას.

– რა სჭირდება უკრაინას – ყირიმის ხიდის დანგრევა თუ ძლიერ დაზიანება?

– ყირიმის ხიდის დანგრევა ოპტიმალური ვარიანტია. კარგი იქნებოდა ისე მოქცევა, რომ რუსებს აზრადაც აღარ მოუვიდეთ მისი რამენაირად აღდგენა. ახლა დაწყებულია პროცესები დედამიწის ქერქში, განსაკუთრებით, თურქეთში. შემდეგ მოდის ტერიტორია ყირიმსა და ტამანს შორის. ამიტომ, მგონია, რომ ბუნება თვითონ დაანგრევს ხიდს იქამდე, სანამ ჩვენ შორს მსროლელ იარაღს მოგვცემენ.

– რუსები ყირიმში აგებენ თავდაცვით ნაგებობებს და იქ აგზავნიან გაწვეულებს. როგორ აპირებს ოკუპანტი ნახევარკუნძულის შენარჩუნებას?

– ისინი იმედოვნებენ, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები არ დაანგრევენ ყირიმის ხიდს, არ შევლენ აზოვის სანაპიროზე, არ გადაჭრიან სახმელეთო დერეფანს და არ გაანადგურებენ შავი ზღვის ფლოტილიას. ისინი ცდილობენ დაიჯერონ, რომ უკრაინა არ ჩამოყრის საბრძოლო მასალებით სავსე თვითმფრინავებს ყირიმის თავზე.

ყირიმის გათავისუფლება კომპლექსური ოპერაცია იქნება. დავანგრევთ ყირიმის ხიდს, ჩავძირავთ შავი ზღვის ესკადრას, ჩამოვყრით თვითმფრინავებს ყირიმის თავზე. უკრაინის ჯარები დაეუფლებიან ლოჯისტიკის სისტემებს, რის შემდეგაც რუსეთის ფედერაციის ჯარები მოექცევიან ოპერატიულ ალყაში.

– რა პერსპექტივები ეხსნება უკრაინას ყირიმის გათავისუფლებით?

– საუბარია არა პერსპექტივებზე, არამედ გეგმების შემდგომ რეალიზაციაზე. ყირიმი იქნება გათავისუფლებული ტერიტორიის ნაწილი. ძირითადი ნაწილი დონბასია. დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების გათავისუფლება ყირიმზე უფრო ძნელი იქნება. ყირიმის გათავისუფლება ნიშნავს უკრაინის შეიარაღებული ძალების ზურგში რუსეთის დაჯგუფებების ლიკვიდაციას.

– გენერალი ბენ ჰოჯესი იმასაც ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც უკრაინა გაათავისუფლებს ყირიმის ნახევარკუნძულს, რუსეთში დაიწყება ცვლილებები, რომელთა შედეგად რუსეთის ჯარი დონბასში ვეღარ დარჩება. ეთანხმებით მის აზრს?

– ასეთ მოსაზრებას არ ვეთანხმები. ყირიმი და დონბასი უკრაინისათვის მოპარული ტერიტორიებია. ამიტომ რუსეთის მხრიდან მათი დაკარგვა კატაკლიზმებს არ გამოიწვევს. პუტინის ხელისუფლებისთვის დარტყმად შეიძლება იქცეს მხოლოდ საგარეო ზეწოლა სანქციების მეშვეობით, რუსეთის გადაქცევა ღატაკ ქვეყნად, სადაც ჩრდილოეთი კორეის მსგავსი რეჟიმია. რუსეთი მაშინვე დაიშლება, როცა ამოიწურება ფინანსური ნაკადები, რომლებიც რუსეთის რეგიონებში ადგილობრივ ხელისუფლებებს უზრუნველყოფს.

„ყველაზე მთავარი უკრაინისათვის დონბასის დაბრუნებაა. ყირიმის გათავისუფლება უკრაინის შეიარაღებული ძალების ზურგში რუსეთის დაჯგუფებების ლიკვიდაციას ნიშნავს“

„დაუწესდეთ სანქციები ივანიშვილს, რუსული კანონის მხარდამჭერ დეპუტატებს“ — ქართველი ემიგრანტების მიმართვა ევროკავშირის ინსტიტუტებს

ქართველი ემიგრანტები პარლამენტში ინიცირებულ რუსულ კანონთან დაკავშირებით ევროკავშირის ინსტიტუტებს მიმართავენ. ისინი ითხოვენ, რომ დაუწესდეს პირადი სანქციები „საქართველოს არაფორმალურ მმართველ, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს“, ასევე, პარლამენტის იმ დეპუტატებს, რომლებიც არიან „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ რუსული კანონპროექტის ინიციატორები და მხარდამჭერები.

ემიგრანტები წერენ, რომ დგანან საქართველოს ევროატლანტიკური გზის დასაცავად და წინ აღუდგებიან საქართველოს ოკუპანტ რუსეთთან დაახლოების მცდელობას. მიმართვას ხელს აწერენ ქართველი ემიგრანტები ევროპაში და მის გარეთ.

– პატივცემულო საქართველოს მეგობრებო!

ქართველი ხალხის მომავალი ევროპულია. ევროატლანტიკური კურსისადმი ურყევი მხარდაჭერა საქართველოს მოქალაქეებმა მრავალჯერ დაადასტურეს. ის ასევე განსხეულებულია საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც ეროვნული თვითმიზანი.

რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, ევროპულ ოჯახში გაწევრიანების უნიკალური შანსი მიეცა. თუმცა დღეს, საქართველოს მოქალაქეებს – საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ – ამ შესაძლებლობას პრორუსული სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნება“ ართმევს.

ქართველი ემიგრანტები ღრმა შეშფოთებას გამოთქვამენ ე.წ. უცხოური გავლენის აგენტების შესახებ რუსული კანონის შესაძლო მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც 2022 წლის 29 დეკემბერს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დეპუტატებმა (ე.წ. ხალხის ძალის წარმომადგენლებმა) დააანონსეს. კანონპროექტის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თუ მედია საშუალებები, რომელთა წლიური შემოსავლის 20% ან მეტი „უცხოური ძალისგანაა“ მიღებული, სპეციალურ რეესტრში უნდა დარეგისტრირდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ფინანსური სანქციები, ხოლო შემდეგ სამართლებრივი დევნა ემუქრებათ.

მოგეხსენებათ, საქართველოში სამოქალაქო სექტორს ევროპის კავშირი მხარს აქტიურად უჭერს. ევროპის კავშირსა და მის წევრ ქვეყნებში არსებული ფონდების მიერ გაწეული ფინანსური მხარდაჭერის წყალობით, ათწლეულებია, არასამთავრობო სექტორი აქტიურად მუშაობს, როგორც ქართული საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისთვის სერვისების მიწოდებაზე, ისე ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანონპროექტის მხარდაჭერა მმართველმა პარტიამ აქტიურად დაიწყო ევროკომისიის მიერ ანალიტიკური ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ავსებს კომისიის 2022 წლის 17 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებას. „ქართული ოცნების“ ღია მიზანი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის საბოტაჟია, რაც 2022 წლის ივნისში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე ნეგატიურ გადაწყვეტილებაშიც გამოიხატა.

უცხოური გავლენის აგენტის შესახებ რუსულ კანონპროექტთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მიერ წარმოებული საჯარო დისკურსი აღვივებს არასამთავრობო სექტორის, მედიის, ასოციაციების, სათემო ორგანიზაციებისა თუ პროფკავშირების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას. პარალელურად, „ქართული ოცნების“ სატელიტი, პრორუსული და კონსერვატიული ძალების ღია მუქარები საფრთხეს უქმნის აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა საქმიანობასა და პირად უსაფრთხოებას. მაგალითად, კრემლის მიერ დაფინანსებული პრორუსული ორგანიზაცია „ალტ-ინფო“ საკუთარ ეთერებსა და სოციალურ ქსელებში ასახელებს ამა თუ იმ აქტივისტს და ღიად ემუქრება „აგენტების“ კანონის მიღების შემდეგ ფიზიკური განადგურებით.

აღნიშნული წერილის ხელმომწერები მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ინიცირებული კანონპროექტი შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციასთან. კანონპროექტის თითოეული მხარდამჭერი საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს ევროპულ მომავალს. ეს არის საქართველოს კონსტიტუციის წინააღმდეგ მიმართული ღია ნაბიჯი, რომლის მიღებაც ნიშნავს საქართველოს სტრატეგიულ არჩევანზე უარის თქმას. ეს გადაწყვეტილება ნიშნავს არა მხოლოდ დასავლეთისკენ გზის ჩარაზვას, არამედ ქართული საზოგადოების 80%-ზე მეტისთვის ღიად თქმას, რომ ჩვენ აღარ გვექნება ევროპული მომავალი, მაგრამ გვექნება რუსული.

უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტი, იმეორებს რა რუსეთის ფედერაციაში 2012 წელს მიღებულ კანონს, ასევე ეწინააღმდეგება ევროპული კომისიის 2022 წლის 17 ივნისის მოსაზრებით განსაზღვრული 12 პრიორიტეტული ამოცანიდან ორს – მედიის თავისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფის შესახებ. ამის დასტურია საქართველოში ევროკავშირის ელჩისა და მისი ზემდგომების განცხადებები, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ უცხოელი გავლენის აგენტების შესახებ კანონი ევროპის კავშირის პრინციპებისა და ღირებულებებს წინააღმდეგაა მიმართული. იმ პირობებში, როდესაც საქართველო იმყოფება „მოლოდინის რეჟიმში“ და აღსასრულებელი აქვს ევროკომისიის პრიორიტეტული ამოცანები, უცხოური გავლენის აგენტების კანონის არათუ მიღება, არამედ მასზე საჯარო სივრცეში მსჯელობის დაწყებაც კი დამაზიანებელია ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესისთვის.

აღნიშნული ღია წერილით ვთხოვთ ევროპის პარლამენტს, ევროპის კომისიასა და ევროკავშირის საბჭოს, გააძლიერონ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერა; დაუწესდეს პირადი სანქციები საქართველოს არაფორმალურ მმართველს, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს მისი როლისა და გავლენისთვის საქართველოს მმართველ პარტიაზე, მთავრობასა და დემოკრატიის მოშლაზე, როგორც ეს უკვე აღინიშნა ევროპის პარლამენტის რეზოლუციაში; დაუწესდეთ პირადი სანქციები საქართველოს პარლამენტის იმ დეპუტატებს, რომლებიც არიან უცხოური გავლენის აგენტების შესახებ რუსული კანონპროექტის ინიციატორები და მხარდამჭერები.

ჰელსინკის კომისია: „არის თავდასხმა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობასა და ქართველი ხალხის დასავლურ არჩევანზე“

ჰელსინკის კომისია რუსულ კანონთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და წერს, რომ აღნიშნული კანონპროექტი, ისევე, როგორც მიმდინარე დემოკრატიული უკუსვლა, მათ შორის პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება, არის თავდასხმა სტრატეგიულ პარტნიორობასა და ქართველი ხალხის დასავლურ არჩევანზე.

– ეს კანონპროექტი, ისევე, როგორც მიმდინარე დემოკრატიული უკუსვლა, მათ შორის პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება, არის თავდასხმა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობასა და ქართველი ხალხის დასავლურ არჩევანზე. 1991 წლიდან შეერთებული შტატები ქართველი ხალხის მტკიცე და ურყევი მეგობარია. ეს არ შეიცვლება, მიუხედავად ხელისუფლების პოზიციისა. ამ მეგობრობის სულისკვეთებით, მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, უარყოს შემოთავაზებული კანონმდებლობა და განაახლოს თავისი ვალდებულება დემოკრატიისადმი, – წერია განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა სხდომაზე მხარი დაუჭირა „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად გასული დეპუტატების მიერ ინიცირებულ „რუსულ კანონს“.

ტრენერთა ასოციაცია: „სანამ განიხილება რუსული კანონის აქტიურად მიღების პროცესი, ვწყვეტთ საჯარო სექტორისთვის სატრენინგო სერვისის მიწოდებას“

ტრენერთა ასოციაცია ყველა ტრენერსა და მათ პარტნიორ ორგანიზაციას მოუწოდებს, რომ დროებით შეწყვიტონ საჯარო სექტორისთვის სატრენინგო სერვისების მიწოდება, სანამ პარლამენტი რუსულ კანონს განიხილავს.

– ძვირფასო კოლეგებო!

მივმართავთ უკიდურეს ფორმას საქართველოს მომავლისთვის, ადამიანისთვის, რომელიც ჩვენი მთავარი ღირებულებაა...

გთხოვთ, თითოეულ ტრენერს, თითოეულ ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციას – სანამ განიხილება რუსული კანონის აქტიურად მიღების პროცესი, შევწყვიტოთ საჯარო სექტორისთვის სატრენინგო სერვისის მიწოდება.

ჩვენ ყველამ ერთად ხიდები ავაშენეთ ორმხრივად საჯარო სექტორთან. ჩვენ პარტნიორ ორგანიზაციებს, მეგობრებს შორის არაერთი მათგანია. კოლეგებო, ეს არის დროებითი პროცესი, რომელიც მიმართულია კონკრეტულად რუსული კანონის შესაჩერებლად.

ტრენერები ვავითარებთ ადამიანებს, ვემსახურებით სამშობლოს და ვცნობთ საქართველოს მთლიანობას ევროპულ ინტეგრაციაში, – წერს ტრენერთა ასოციაცია.

შეგახსენებთ, რომ 6 მარტს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად გასული დეპუტატების მიერ ინიცირებულ „რუსულ კანონპროექტს“ განიხილავდნენ.

განხილვა კი მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. არეულობა იყო სხდომათა დარბაზშიც, სადაც დეპუტატები ერთმანეთს როგორც ფიზიკურად, ისე სიტყვიერადაც დაუპირისპირდნენ.

ეუთო/ოდირი: „გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება დემოკრატიის ფუნდამენტია“

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) განცხადებით, ის ე.წ. უცხოელი აგენტების კანონპროექტის შესახებ სამართლებრივ დასკვნას ამზადებს.

ორგანიზაციამ აღნიშნულის შესახებ „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

– გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება დემოკრატიის ფუნდამენტია. ოდირი სამართლებრივ დასკვნას ამზადებს ე.წ უცხოელი აგენტების კანონპროექტის შესახებ საქართველოში, რათა შევაფასოთ საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობა და ჩვენ ვითანამშრომლებთ საერთაშორისო პარტნიორებთან ამ მნიშვნელოვან საქმეზე, – წერს ეუთო/ოდირი.

ამასთან, ODIHR აღნიშნავს, რომ ეუთოს ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება მიიღონ კანონმდებლობა ღია და ინკლუზიური საჯარო კონსულტაციების პროცესის გზით. როგორც ის აღნიშნავს, ასოციაციებსა და მათ წევრებს სჭირდებათ მნიშვნელოვანი კონსულტაციები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონები პირდაპირ გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე.

პიტერ ფიშერი: „მისი მიღება შეუსაბამო იქნება ევროკავშირის მისწრაფებებთან, ნორმებთან და ღირებულებებთან“

საქართველოში გერმანიის ელჩი პიტერ ფიშერი ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით აცხადებს, რომ კანონპროექტის მიღება შეუსაბამო იქნება საქართველოს ევროკავშირის მისწრაფებებთან და ევროკავშირის ნორმებთან და ღირებულებებთან.

– ევროკავშირის, როგორც საქართველოს მეგობრის, პოზიცია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით უცვლელი რჩება: „კანონპროექტის მიღება შეუსაბამო იქნება საქართველოს ევროკავშირის მისწრაფებებთან და ევროკავშირის ნორმებთან და ღირებულებებთან“. ამას ის, როგორც მეგობარი, აცხადებს, – წერს ელჩი „ტვიტერზე“.

თემურ ჭყონია: „კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც გზას უკეტავს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციას“

„ვფიქრობ, ეს რუსული სულისკვეთებით განმსჭვალული კანონია“ – ასე აფასებს საქართველოს პარლამენტში „ხალხის ძალის“ მიერ უცხოური გავლენის აგენტების შესახებ ინიცირებულ კანონპროექტს მოქალაქე და ბიზნესმენი თემურ ჭყონია.

BM.GE-სთან საუბრისას ის ამბობს, რომ ამ კანონის მიღება მსოფლიოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით არ შეიძლება, მაშინ როდესაც ქვეყნის შიგნით საზოგადოების დიდი ნაწილი პროექტის დაკანონების წინააღმდეგია.

– სახელმწიფოში ისეთი პოლარიზაციაა, რომ ერთმა მოქალაქემ ამ კანონს მხოლოდ მეორის ჯიბრზე შეიძლება მხარი დაუჭიროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს კანონი, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისთვის არ არის მისაღები და მეორე – რა აუცილებელია, რომ ამ კანონს ასეთი ჯიბრიანი, სწრაფი განხილვები, დაძაბული სიტუაცია მოჰყვეს. ვფიქრობ, ეს კანონი რუსული სულისკვეთებით განმსჭვალულია, შეიძლება რაღაც პუნქტები არ ემთხვეოდეს, მაგრამ რუსული სულისკვეთება ბოლშევიზმთან არის დაკავშირებული და ამიტომაც არის ამხელა წინააღმდეგობა. როდესაც საუბრობენ, რომ ეს ამერიკული კანონია, ამერიკაში სენატორები ამბობენ, რომ ეს არ არის ამერიკული. ამერიკელი კანონმდებელი ამბობენ, რომ ეს არ არის ამერიკული და ჩვენი კანონმდებლები ამბობენ, რომ ამერიკულია, – ამბობს ჭყონია.

თემურ ჭყონია თვლის, რომ კანონპროექტი უნდა იყოს შესწავლილი და კარგად განხილული. მისი შეფასებით, ეს კანონი ქვეყანას პოლიტიკურად და ეკონომიკურად არ გააძლიერებს.

– სანამ აზრთა სხვადასხვაობა არ დალაგდება იმ დონეზე, რომ კომფორტულად იგრძნოს საქართველოს მოქალაქემ თავი, მინდა დავაფიქსირო, ჩემი პოზიცია როგორც მოქალაქემ. ყველა მოქალაქეს, ვისაც საღი აზრი აქვს და გადალახავს მლიქვნელობას, იქნება სწორი შემფასებელი, ის სწორად შეაფასებს, რომ კანონი, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს იმ მდგომარეობაში არ უნდა ტარდებოდეს, რომელიც დღეს მსოფლიოშია – როდესაც რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს, როდესაც რუსეთთან ასე დაპირისპირებულია, ბორდერიზაცია გვაქვს... რუსეთი ჩვენ გვიკეთებს ყველაფერს, რაც მას უნდა და ჩვენ ყველაფერზე ვთანხმდებით, ეს სწორი პოზიცია არ არის. ეს კანონი უნდა შეჩერდეს, დაიწყოს სერიოზული შესწავლა, განხილვა, აზრის ჩამოყალიბება. ეს ის კანონი არ არის, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურად და პოლიტიკურად გააძლიერებს, მით უმეტეს მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ნაწილი გაცილებით კარგად ერკვევიან ამ კანონში, ვიდრე მათი ინიციატორები საქართველოში, ჩვენი კანონმდებლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა ქვეყნის წინაშე და ამ კანონს იღებენ ვიღაცის საწინააღმდეგოდ, – აცხადებს თემურ ჭყონია.

მოქალაქე და ბიზნესმენი აცხადებს, რომ ის ამ კანონის მიღებას პირველ რიგში როგორც ქვეყნის მოქალაქე ისე არ ემხრობა. თემურ ჭყონიას შეფასებით, ამ კანონპროექტის მიღება ქვეყნის ევროინტეგრაციას დააზარალებს.

– ხალხი, რომელმაც ევროკავშირში უნდა მიგვიღოს, გვეუბნება, რომ ამ კანონით ევროკავშირში არ ვიღებთ და ჩვენ რას ვპასუხობთ – „არ მიღებ, ნუ მიღებ“ – რა უფლებით აქვს თუნდაც 120 ადამიანს პარლამენტში, თუნდაც ოპოზიციას და პოზიციას ერთად შეკრებილთ, 3 მილიონი ადამიანის ბედი გადაწყვიტონ? რა უფლება აქვთ გადაწყვიტონ ბედი, რომელიც ევროპას გვაშორებს, ვინ მისცა ამის უფლება? რადგან ხალხმა აირჩია, იმას კი არ ნიშნავს, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათ სურთ. ისინი იმ გადასახედიდან ხედავენ, რა განათლებაც აქვთ.

მე, თემურ ჭყონია, როგორც მოქალაქე, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ისეთი კანონების მიღებას საქართველოში, რომლებიც გზას უკეტავს ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაციასა და მსოფლიო ინტეგრაციაში. როდესაც მთელი მსოფლიო გეუბნება, რომ ეს კანონი არ მომწონს, ჯიბრი საინტერესო არ არის. ერთმანეთს ეჯიბრებიან, რადგან თავისი აზრის დათმობა არ უნდათ, – აცხადებს თემურ ჭყონია.

ცნობისთვის: „ქართული ოცნების“ პარტნიორმა გაერთიანება „ხალხის ძალამ“ პარლამენტში ორი კვირის შუალედში უცხოური გავლენის აგენტების გამჭვირვალობის თაობაზე ორი კანონპროექტი დაარეგისტრირა. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, იმ მედიასაშუალებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური ორგანიზაციებისგან, მათ შორის საერთაშორისო დონორებისგან იღებენ, უცხოური გავლენის აგენტებად დარეგისტრირება მოუწევთ.

კანონპროექტს აშშ-ის, ევროკავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიტიკა მოჰყვა. ამის შემდეგ „ხალხის ძალამ“ გადაწყვეტილება მიიღო, რომ წარადგინოს ალტერნატიული კანონპროექტი „უცხოური აგენტის რეგისტრაციის აქტის შესახებ“, რომელიც მათივე განცხადებით, ამერიკული ვარიანტის ზუსტი ანალოგი და თარგმანია.

კანონპროექტის ინიციატორმა ეკა სეფაშვილმა განაცხადა, რომ მმართველი გუნდი პირველი მოსმენით მხარს როგორც ქართულ, ისე ამერიკულ ვერსიას დაუჭერს. მისივე თქმით, ამის შემდეგ დოკუმენტი ვენეციის კომისიაში გაიგზავნება და პარლამენტი კომისიის შენიშვნებს გაითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტები უკვე განიხილეს საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე და პირველი მოსმენით, პრინციპების დონეზე მხარიც დაუჭირეს. კანონპროექტებს დღეს იურიდიულ კომიტეტში განიხილავენ.

ნიკა მელია: „ისტორიული არჩევანის დასაცავად უნდა გავერთიანდეთ“

– ახლა ყველანი ისტორიული არჩევანის დასაცავად უნდა გავერთიანდეთ – ახლა ისტორიულ არჩევანს თუ ვერ იცავ, მომავალში ასარჩევი არაფერი აღარ დაგრჩება, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიკა მელიამ ოპოზიციასა და სამოქალაქო სექტორს შორის სამოქმედო გეგმაზე კონსულტაციების დაწყებამდე განაცხადა.

ნიკა მელიას განცხადებით, დღეს ყველა უნდა გაერთიანდეს და პასიური მოქალაქეებიც კი აქტიურ მოქალაქეებად უნდა გადაიქცეს.

– ევროპისკენ სვლა არის საქართველოს ისტორიული არჩევანი. ჩვენ ყოველთვის დავმდგარვართ მტკივნეული დილემის წინაშე: თავისუფლება თუ მორჩილება და ქართველი ხალხის სასახელოდ უნდა თქვას, რომ ყოველთვის არჩევანი გაკეთებულა თავისუფლების სასარგებლოდ და დღესაც საზოგადოება ამბობს, რომ დიახ, არჩევანს ვაკეთებთ თავისუფლების სასარგებლოდ.

ახლა ყველანი ისტორიული არჩევანის დასაცავად უნდა გავერთიანდეთ. ხოლო როდესაც ჩვენ უზრუნველვყოფთ ისტორიული არჩევანის გარანტირებულად წესრიგში მოყვანას, სუვერენიტეტს საფრთხე აღარ დაემუქრება, შემდეგ გავაკეთებთ სხვადასხვა ტიპის არჩევანს, მოქალაქე ხმას მისცემს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას, ხოლო ახლა ისტორიულ არჩევანს თუ ვერ იცავ, მომავალში ასარჩევი არაფერი აღარ დაგრჩება. იქნება ეს პოლიტიკოსი, აქტიური საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენელი თუ გუშინდელი პასიური მოქალაქე, რომელიც საკუთარ ნებას გამოხატავდა მხოლოდ არჩევნებზე მისვლით, დღეს ასეთი უკანასკნელი მოქალაქეც კი უნდა გადაიქცეს აქტიურ მოქალაქედ და ასეთ შემთხვევაში კომუნიზმი და ძალიან მძიმე, ვერაგი დიქტატორები დამარცხებულან, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ლევან ბეჟაშვილი: „ეს არის ანტიევროპული კანონი“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტი თავისი სულისკვეთებითა და შინაარსით რუსულია.

როგორც მან არასამთავრობო არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას ჟურნალისტებს განუცხადა, ის ხელს შეუშლის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას.

– ვფიქრობთ, რომ რუსულ კანონთან ბრძოლის სტრატეგია უნდა იყოს საერთო. ამ შემთხვევაში პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობას არ აქვს მნიშვნელობა. დღეს რიგითი მოქალაქე, არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია ვართ ერთ მხარეს, ყველა ვიცავთ საქართველოს ევროპულ მომავალს და ევროპულ არჩევანს. ეს კანონი არის ანტიევროპული, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს. ამიტომ, საზოგადოება ამ პროცესში ერთიანი უნდა იყოს. ჩვენ გვექნება კონკრეტული წინადადებები, თუ რა რესურსი გაგვაჩნია იმისთვის, რომ ეფექტური წინააღმდეგობა გავწიოთ, მათ შორის ჩვენი ინიციატივა გულისხმობს, რომ თითოეული პარლამენტის წევრის, მათი ოჯახის წევრის სანქცირება მოხდეს. მოხდეს მათთვის მგზავრობის უფლების შეზღუდვა ევროკავშირში და აშშ-ში, მათი საერთო ფორუმებზე არმიწვევა, საერთაშორისო დელეგაციებში მათი უფლებამოსილების შეჩერება. ამაზე ჩვენ კონკრეტული მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს და კიდევ უფრო განვავითარებთ, – განაცხადა ბეჟაშვილმა.

ამირან გამყრელიძე ე.წ. აგენტების კანონზე — „ეწინააღმდეგება ჩვენს სწრაფვას, ისტორიულ სურვილს“

– თუ მიიღებენ ე.წ. აგენტების შესახებ კანონს, მაშინ მე თქვენთან ვეღარ ვილაპარაკებ მერე. მეც აგენტი ვიქნები, ვეღარ ვილაპარაკებ, – ასე უპასუხა დაავადებათა კონტროლის ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ჟურნალისტების შეკითხვაზე, რა საფრთხეები შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტმა მაინც მიიღო ე.წ. აგენტების შესახებ კანონი.

ამასთან, ამირან გამყრელიძე დარწმუნებულია, რომ აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტში ვერ გავა.

– საქართველოს პარლამენტი, დარწმუნებული ვარ, არ მიიღებს ამ კანონპროექტს, იმიტომ, რომ ეს კანონპროექტი ეწინააღმდეგება ჩვენს სწრაფვას, ისტორიულ სურვილს, რომ რაც შეიძლება მალე გავხდეთ ევროატლანტიკური სივრცის წევრი. მხედველობაში მაქვს, შევიდეთ ევროკავშირში და საქართველოს ჰქონდეს ნატო-ს ფარი. ამიტომ, ეს კანონი საფუძველშივე ეწინააღმდეგება ჩვენს ამ სწრაფვას. მე ვერ დავიჯერებ იმას, რომ საქართველოს პარლამენტი შეიძლება წავიდეს საქართველოს მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ, რადგანაც საქართველოს მოსახლეობის 85%-ს სხვადასხვა შეფასებებითა და რეფერენდუმებით უნდა, რომ ვიყოთ ევროკავშირის და ევროატლანტიკური სივრცის წევრი. არ შეიძლება, რომ საქართველოს პარლამენტი წავიდეს (წინააღმდეგ). მე მესმის, რომ ის ინიცირებულია გარკვეული ჯგუფის მიერ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, პარლამენტართა უმრავლესობა არ მიიღებს.

მოგეხსენებათ, ჩვენი ყველა მეგობარი: ევროკავშირი, სადაც რაც შეიძლება მალე გვინდა შესვლა, წელს უნდა მივიღოთ კანდიდატის სტატუსი და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, გაერო, ჩვენი ნომერ პირველი პარტნიორი – აშშ, კიდევ ბევრი სხვა პარტნიორი, მოვისმინეთ გერმანიის, ბრიტანეთის ელჩების განცხადებები და აშ. – ყველა ჩვენი მეგობარი ძალიან დელიკატურად გვირჩევს, რომ დღეს კანონის მიღების საჭიროება არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“, ასევე იქ ბევრს ვიცნობ, ამ კანონის მიღებისგან თავს შეიკავებენ, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ვინ არის ბიზნესმენი, რომელიც „დელისთან“ დაჭრეს

თბილისში, მეტროსადგურ „დელისთან“ დაჭრილი კაცი ალეკო გამჯაშვილია. ახალგაზრდა კაცი ბიზნესცენტრის ერთ-ერთი მეწილეა. მას 5 ტყვია ფეხის არეში ესროლეს.

თვითმხილველების თქმით, გამჯაშვილს თავს 2 პირი დაესხა, რომლებმაც ტერიტორია სირბილით დატოვეს.

დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა კლინიკაში გადაიყვანა.

რუსებმა ბახმუტის ალყაში მოქცევა ვერ შეძლეს

ჯერ კიდევ გასული წლის მაისში დიქტატორი პუტინი აცხადებდა, რომ 8 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, ბახმუტს აიღებდა. ეს არ გამართლდა. ამის შემდეგ დაითქვა ახალი ვადა, ივნისი. ვერც ეს მოხერხდა. შემდეგ ბახმუტი უკვე სექტემბერ-ოქტომბერში უნდა აეღოთ. ამის ნაცვლად რუსებს ჯერ ხარკოვსჩინის ნაწილის, შემდეგ ხერსონის დატოვებაც მოუხდათ. პუტინმა რუსეთში მობილიზაცია გამოაცხადა.

გენერალი სუროვიკინი პუტინს შეჰპირდა, რომ ხერსონიდან გამოყვანილ ჯარს დონბასისაკენ გადაისვრის და უკვე დეკემბრისათვის ბახმუტს აიღებს. ეს ჩაიშალა. პუტინმაც სუროვიკინის ნაცვლად უკრაინაში ომის ხელმძღვანელობა გენშტაბის უფროსს, გენერალ გერასიმოვს დააკისრა. ის დიქტატორს ჰპირდებოდა ბახმუტის რამდენიმე დღეში აღებას. ოკუპანტებმა ეს ვერ მოახერხეს. მაშინ სცენაზე ბანდიტური ორგანიზაცია „ვაგნერი“ გამოვიდა. მისი შეფი, წარსულში ნასამართლევი პრიგოჟინი, აცხადებდა, რომ „ვაგნერი“ უფრო ძლიერია, ვიდრე რუსეთის რეგულარული არმია და ბახმუტსაც 1 იანვრამდე აიღებდა.

ეს დაპირება დაპირებად დარჩა. ბახმუტი კვლავაც მტკიცედ იდგა. მაშინ ქალაქის აღების ახალი ვადა დაინიშნა: 2 თებერვალი ანუ სტალინგრადის ბრძოლის წლისთავი. ამ დღეს ბახმუტში პუტინმა საზეიმო აღლუმი დაგეგმა. მიუხედავად ამისა, დიქტატორს მოუწია გეგმის შეცვლა. ბახმუტის აღება ვერც ამ ვადებში მოხერხდა.

„ვაგნერის“ ბანდები ციხიდან გათავისუფლებული კრიმინალებით შეავსეს. მიუხედავად ამისა, ქალაქის აღება ვერ მოხერხდა. მაშინ პუტინმა პრიგოჟინი გვერდზე გასწია და „ვაგნერელების“ ადგილი რეგულარულმა არმიამ დაიკავა. ბახმუტისაკენ რუსული არმიის საუკეთესო ნაწილები გადაისროლეს. რუსები ტალღისებურად უტევდნენ: წინ „ვაგნერის“ კრიმინალები მიდიოდნენ, უკან – რუსი მედესანტეები. პრიგოჟინი უკვე იკვეხნიდა:

– ბახმუტში გამაგრებულ უკრაინელ ჯარისკაცებს უკანასკნელ შანსს ვაძლევ: დაყარეთ იარაღი და აქედან გაგვეცალეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგანადგურებთ, – თქვა პრიგოჟინმა.

ამას მოჰყვა შეტევა ბახმუტზე. მიუხედავად ამისა, რუსებმა ქალაქი ვერც 23 თებერვლისათვის, ვერც 1 მარტისათვის ვერ აიღეს და ვერც ალყაში მოაქციეს. კვლავინდებურად უკრაინელები აკონტროლებენ სტრატეგიული მნიშვნელობის ტრასებს კონსტანტინოვკისა და ჩასოვ იარისაკენ. ხიდების აფეთქებამ კი რუსების წინსვლა შეაფერხა. ამან საშუალება მისცა უკრაინელებს, მოეხდინათ ბახმუტში საკუთარი ძალების გადაჯგუფება და რიგი კონტრშეტევების განხორციელება.

ამერიკელი ექსპერტების აზრით, რუსები ამას ვერც უახლოეს ხანებში შეძლებენ. ახლა უკრაინული სარდლობის გადასაწყვეტია, გააგრძელებენ ბახმუტის შენარჩუნებას თუ უკან დაიხევენ და ახალ პოზიციებზე გადავლენ.

ზაპოროჟიეს ოლქში წინ წაწევის პუტინისეული გეგმა ჩაიშალა

ბახმუტის გარდა, ბრძოლები უკრაინის დანარჩენ ტერიტორიებზეც გრძელდება. ყველაზე გააფთრებული ხასიათი მათ აქვთ დონბასში.

გასული დღის განმავლობაში უკრაინელებმა მოიგერიეს მტრის შეტევები ავდეევკასთან, მარინკასთან, უგლედართან, შახტარსკთან. რუსებმა ვერცერთი მიმართულებით ვერ წაიწიეს წინ.

გრძელდებოდა შეტაკებები ლუგანსჩინაზე, კერძოდ, სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. ამაო გამოდგა რუსების ყველა მცდელობა, კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ. კრემენოესთან უკრაინელებმა ოდნავ წინ წაწევა შეძლეს.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ პოზიციური ბრძოლები გრძელდება. რუსმა ოკუპანტებმა კვლავ დაბომბეს ზაპოროჟიე, ხერსონი, ნიკოლაევი, ოდესა. უკრაინელები ვალში არ დარჩნენ. მათ განახორციელეს საპასუხო დარტყმები რუსების პოზიციებზე. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

ზაპოროჟიეს ოლქში წინ წაწევის პუტინისეული გეგმა ჩაიშალა. პასუხად რუსებმა ზაპოროჟიეს ოლქის დედაქალაქად მელიტოპოლი გამოაცხადეს. რაც შეეხება ხერსონსჩინას, ოკუპანტები ჯერჯერობით ინარჩუნებენ დნეპრის მარცხენა ნაპირს.

სააკაშვილი ივანიშვილს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებს

პატიმრობაში მყოფმა საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამომცემლობა „ბილდს“ ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა, რომ საქართველოს არაფორმალური მმართველი ივანიშვილი საქართველოს რუსეთს აბარებს. ამიტომ კრემლმა ის თავის დროზე ხელისუფლებაში მოიყვანა და ახლაც მხარს უჭერს.

სააკაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მისი პარტიის მარცხი 2012 წელს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგია. დღეს მოსკოვი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პირადად მას, სააკაშვილსა და მის პარტიას ჩირქი მოსცხოს.

ჩინეთი თავდაცვის ბიუჯეტს ზრდის

როგორც იტყობინება რადიო „თავისუფლება“, ჩინეთი თავდაცვის ბიუჯეტს ზრდის. ბიუჯეტი 7,2%-ით გაიზრდება. მანამდე დაგეგმილი იყო მისი მხოლოდ 5,2%-ით გაზრდა.

– ჩინეთზე ზეწოლა ძლიერდება! რიგი ქვეყნები ცდილობენ ჩვენს შეჩერებას, ამიტომ შეიარაღებული ძალების გაზრდა აუცილებელია! – განაცხადა ჩინეთის სახელმწიფოს მეთაურმა სი ცზენპინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნინი შერმადინის სიმღერა გამარჯვებულია

მომღერალ ნინი შერმადინის სიმღერის პრემიერა ამერიკაში შედგა და თანაც კონკურსის გამარჯვებული გახდა. სიმღერა საუკეთესოდ რადიომსმენელმა დაასახელა, რადგან ნინის ნაწარმოებმა ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

„მე წაგიყვან სახლში“ – ასე ჰქვია ინგლისურენოვან სიმღერას. მელოდია ნინი შერმადინს ეკუთვნის, ტექსტი – მისი ბავშვობის მეგობარს ჯაბა ბუცხრიკიძეს. სიმღერას არანჟირება ბორიკო შხიანმა გაუკეთა და სანო სტუდიაში ჩაიწერა.

ნინი შერმადინი, მომღერალი:

– ყველაზე მაგარი ქართველი ემიგრანტები გვყავს! არაერთხელ მიგრძნია და გამომიცდია მათი თანადგომა და უპირობო სიყვარული! ჯერ საბერძნეთში და ახლა ამერიკაში! არ ვიცი, ოდესმე თუ გადავიხდი თქვენს ამაგს. ხმის მიცემა შეწყდა და ჩემმა სიმღერამ გაიმარჯვა. მისი მოსმენა ორშაბათიდან ყოველდღე შეგეძლებათ რადიო „თავისუფლების“ ეთერში. თან მეცინება, თან მეტირება! მიყვარხართ! მადლობა. ეს მხოლოდ დასაწყისია. ძალიან ბევრ სიახლეს გპირდებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

გასული დღის განმავლობაში უკრაინელებმა რუსების 130 შეტევა მოიგერიეს. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. უკრაინის გენშტაბის მონაცემებით, სურათი შემდეგია: ტანკები – 3.414; თვითმფრინავები – 302; განადგურებულია 153.120 ოკუპანტი.

უკრაინის გენშტაბი უკრაინული არმიის რიგებში არსებულ დანაკარგებს არ ასაჯაროებს. თანახმად „აპოსტროფ ტივის“ ინფორმაციისა, უკრაინელთა დანაკარგი 32.000-ია. მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი 8.000-ია. აქედან 400 ბავშვია. უკვე 7 მილიონამდე უკრაინელმა დატოვა სამშობლო და ემიგრაციაში გადაიხვეწა.

უახლოეს დღეებში მოსალოდნელია რუსების გააქტიურება

უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფმა, გენერალმა ბუდანოვმა განაცხადა, რომ რუსეთის შეტევითი პოტენციალი ამოწურვის პირასაა. განუწყვეტელმა შეტევებმა რუს ჯარისკაცებს სიქა გააცალა. განადგურებულია დიდძალი სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა, ახალი ტექნიკის წარმოება კი რუსებს არ შეუძლიათ.

– რასაკვირველია, ადამიანური რესურსები რუსეთს გააჩნია. პუტინსაც შეუძლია, თოფქვეშ კიდევ 500.000 ჯარისკაცი დააყენოს, მაგრამ გაუწვრთნელი, სუსტად შეიარაღებული მობილიზებულები ვერაფერს ვერ შეძლებენ, – ამბობს ბუდანოვი.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის უფროსის აზრით, რუსეთი შეეცდება, თუნდაც დროებითი, მაგრამ მისთვის სასარგებლო ზავის დადებას. საამისოდ აუცილებელია ბრძოლის ველზე გარკვეული წარმატებების მიღწევა, რათა უკრაინა და დასავლეთი აიძულონ, დათანხმდნენ ზავის პუტინისეულ პირობებს.

გენერლის აზრით, მკვეთრად გაიზრდება უკრაინული ტერიტორიების დაბომბვა. ამას გარდა, ადგილი ექნება ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქში დესანტის გადასხმის მცდელობასაც.

შედეგები

5 მარტი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ნოტინგემი-ევერტონი 2:2
ლივერპული-მანჩესტერი 7:0

სატუნირო ცხრილი:

1.არსენალი	26	20	3	3	59-25	63
2.სიტი	26	18	4	4	66-25	58
3.მანჩესტერი	25	15	4	6	41-35	49
4.ლივერპული	25	12	6	7	47-28	42
5.ტოტენჰემი	26	14	3	9	46-36	45
6.ნიუკასლი	24	10	11	3	35-17	41
7.ფულემი	25	11	6	8	36-31	39
8.ბრაიტონი	23	11	5	7	43-29	38
9.ბრენტფორდი	23	8	11	4	37-30	35
10.ჩელსი	25	9	7	9	24-25	34
11.ასტონ ვილა	25	10	4	11	31-38	34
12.კრ.პალასი	25	6	9	10	21-32	27
13.ვულვზი	26	7	6	13	19-35	27
14.ნოტინგემი	25	6	8	11	20-44	26
15.ლესტერი	25	7	3	15	36-43	24
16.ვესტ ჰემი	25	6	5	14	23-33	23
17.ლიდსი	25	5	7	13	29-40	22
18.ევერტონი	26	5	7	14	19-38	22
19.საუთჰემპტონი	25	6	3	16	20-41	21
20.ბორნმუთი	25	5	6	14	24-51	21

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ჰერტა 4:1
ვოლფსბურგი-აინტრახტი 2:2

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	23	14	7	2	66-22	49
2.დორტმუნდი	23	16	1	6	47-28	49
3.უნიონი	23	13	5	5	35-27	44
4.ლაიფციგი	23	12	6	5	46-29	42
5.ფრაიბურგი	23	12	6	5	35-32	42
6.აინტრახტი	23	11	6	6	45-33	39
7.მაინცი	23	10	5	8	38-34	35
8.ვოლფსბურგი	23	9	7	7	42-31	34
9.ლევერკუზენი	23	9	4	10	40-37	31
10.გლადბახი	23	8	6	9	38-39	30
11.ვერდერი	23	9	3	11	35-43	30
12.კიოლნი	23	6	9	8	32-36	27
13.აუგსბურგი	23	8	3	12	28-39	27
14.ჰერტა	23	5	5	13	28-44	20
15.შტუტგარტი	23	4	7	12	28-40	19
16.ჰოფენჰაიმი	23	5	4	14	29-42	19
17.შალკე	23	4	7	12	18-42	19
18.ბოხუმი	23	6	1	16	24-56	19

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-არმინია 3:3
ჰანზა-კარლსრუე 0:2
ფიურტი-ჰანოვერი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ესპანიოლი 2:1
ბარსელონა-ვალენსია 1:0
რაიო-ბილბაო 0:0
ბეტისი-რეალი 0:0

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	24	20	2	2	46-8	62
2.რეალი	24	16	5	3	47-18	53
3.ატლეტიკო	24	13	6	5	38-19	45
4.სოსიედადი	24	13	5	6	32-23	44
5.ბეტისი	24	12	5	7	32-25	41
6.ვილიარეალი	24	11	4	9	28-23	37
7.რაიო	24	9	8	7	29-25	35
8.ბილბაო	24	9	6	9	33-26	33
9.ოსასუნა	23	9	6	8	22-23	33
10.მალიორკა	24	9	4	11	21-25	31
11.ხირონა	24	8	6	10	38-38	30
12.ესპანიოლი	24	6	9	9	30-36	27
13.სელტა	23	7	6	10	26-34	27
14.ვალიადოლიდი	24	8	3	13	18-34	27
15.კადისი	24	6	8	10	18-35	26
16.ალმერია	24	7	4	13	28-42	25
17.სევილია	24	6	7	11	27-39	25
18.ხეტაფე	24	6	7	11	23-32	25
19.ვალენსია	24	6	5	12	27-28	23
20.ელჩე	24	2	6	16	18-48	12

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლეგანესი-იბიცა 0:1
ალბასეტე-ხიხონი 2:1
ლუგო-სარაგოსა 0:0
მალაგა-რასინგი 0:1

იტალია. სერია ა

სპეცია-ვერონა 0:0
სამპდორია-სალერნიტანა 0:0
ინტერი-ლეჩე 2:0
რომა-იუვენტუსი 1:0

სატუნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	25	21	2	2	58-16	65
2.ინტერი	25	16	2	7	46-28	50
3.ლაციო	25	14	6	5	41-19	48
4.რომა	25	14	5	6	32-21	47
5.მილანი	25	14	5	6	42-32	47
6.ატალანტა	25	12	6	7	42-28	42
7.იუვენტუსი	25	15	5	5	39-20	35
8.ბოლონია	24	10	5	9	31-33	35
9.უდინეზე	25	7	11	7	33-30	32
10.მონცა	25	9	5	11	30-35	32
11.ფიორენტინა	25	8	7	10	29-31	31
12.ტორინო	24	8	7	9	26-29	31
13.ემპოლი	25	6	10	9	23-33	28
14.ლეჩე	25	6	9	10	24-29	27
15.სასუოლო	24	7	6	11	27-35	27
16.სალერნიტანა	25	6	7	12	28-44	25
17.სპეცია	25	4	8	13	21-41	21
18.ვერონა	25	4	6	15	20-37	18
19.კრემონეზე	24	1	9	14	19-43	12
20.სამპდორია	25	2	6	17	11-39	12

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

იტალია. სერია ბ

ასკოლი-ბარი 0:1
ბრეშა-კალიარი 1:1
ზიუდტიროლი-პერუჯა 2:1
კომო-მოდენა 1:0
სპალი-ჩიტადელა 2:1
ტერნანა-ბენევენტო 2:2
ფროზინონე-ვენეცია 3:0

საფრანგეთი. ლიგა 1

ტრუა-მონაკო 2:2
მონპელიე-ანჟე 5:0
რეიმსი-აიაჩო 1:0
სტრასბური-ბრესტი 0:1
ტულუზა-კლერმონი 0:1
ლიონი-ლორიანი 0:0
რენი-მარსელი 1:0

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	26	20	3	3	66-25	63
2.მარსელი	26	16	4	6	48-26	52
3.მონაკო	26	15	6	5	55-36	51
4.ლანსი	26	14	9	3	40-21	51
5.რენი	26	16	4	7	46-28	49
6.ლილი	26	13	6	7	46-33	45
7.ნიცა	26	11	9	6	34-22	42
8.რეიმსი	26	9	13	4	34-26	40
9.ლორიანი	26	11	7	8	38-36	40
10.ლიონი	26	11	6	9	39-28	39
11.კლერმონი	26	9	7	10	26-34	34
12.ტულუზა	26	9	5	12	41-46	32
13.მონპელიე	26	9	3	14	41-46	30
14.ნანტი	26	6	10	10	27-34	28
15.ბრესტი	26	5	8	13	27-42	23
16.სტრასბური	26	4	10	12	30-44	22
17.ოსერი	26	5	7	14	23-49	22

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

საქართველო ფინალში პორტუგალიას შეერკინება

საქართველო-რუმინეთი 31:7

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველომ რუმინეთი გართულებების გარეშე დაამარცხა და 2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის 19 მარტს ესპანეთში, ბადახოსში, პორტუგალიას ერკინება.

გუნდების რაოდენობის ზრდისა და ფორმატის ცვლილების მიუხედავად, ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ რაგბი ევროპაზე ბადალი არ ყავთ ეს ფაქტი ბადახოსში ძახილის ნიშნით უნდა დაასრულონ.

საქართველომ მეტოქე პრაქტიკულად ყველა კომპონენტში პირწმინდად დაჯაბნა და მეოთხე ეფექტური გამარჯვება მოიპოვა. ბორჯღალოსნები დროის უმეტესი ნაწილი ბურთს აკონტროლებდნენ, ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და მაქსიმალური ყურადღებით თამაშობდნენ დაცვაში. მეტოქემ სულ ორჯერ შეძლო ჩვენს 22-ში ხიფათის შექმნა, დანარჩენი დრო კი წნეხის ქვეშ, საკუთარ ნახევარზე გაატარა.

ამ მოგებით საქართველომ წელს უკვე შემართა პირველი ტიტული – რუმინეთთან საზიარო ანთიმოზ ივერიელის თასი. გუნდებს შორის საზიარო თასი 22-ედ გათამაშდა და საქართველო მას მეთექვსმეტედ დაეუფლა.

შეხვედრა გამორჩეული იყო ორი ბორჯღალოსნისთვის: თედო აბჟანდაძეს, რომელმაც რუმინეთთან საკუთარ მონაგარს 7 ქულა შემატა, ჯამში 329 გაუხდა, მალხაზ ურჯუკაშვილს გადაასწრო და საქართველოს ნაკრების ისტორიაში საუკეთესო მექულეთა შორის მეორე ადგილზე აღზევდა. პირველ ადგილზე 833 ქულით მერაბ კვირიკაშვილია.

აკა ტაბუცაძეს, რომელმაც რუმინელებს ბოლო, მეოთხე ლელო გაუტანა, ჯამში 27 თამაშში 25 ლელო მოუგროვდა, რითაც დავით კაჭარავას გაუტოლდა და 2 ლელომდე შეამცირა მამუკა გორგოძესთან ჩამორჩენა.

ბორჯღალოსნებმა მეტოქეს პირველივე წუთებიდან აგრესიული დაცვა და მაღალი ტემპი შესთავაზეს. სასიხარულოა, რომ მასპინძლებმა კარგ დასაწყისს ასეთივე გაგრძელება მიაყოლეს და, ფაქტობრივად, რუმინელებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს. პირველსავე ბურთზე, მერაბ შარიქაძემ მეტოქე მისსავე 22-ში შებოჭა, დამხმარეებმაც არ დააგვიანეს და თედო აბჟანდაძემ გუნდს პირველსავე წუთზე 3-ქულიანი ჰანდიკაპი შეუქმნა.

ჩვენი მხრიდან ფეხით დარტყმებს, ფაქტობრივად, ყველა ჯერზე თან ახლდა კარგი დახურვა, რითაც მასპინძლებმა მეტოქეს ბევრჯერ დააშვებინეს შეცდომა და შარიქაძის ფეხით თამაშის შემდეგ ლელოს გატანაც შეიძლებოდა, მაგრამ ლელოში შესულმა ბურთმა გვერდითი ხაზი დატოვა. ტრიბუნებზე შეკრებილ მაყურებლებს ამისათვის დიდხანს ლოდინი მაინც არ დაჭირდათ. მე-10 წუთზე ვასილ ლობჟანიძემ პასის იმიტირებით მცველი ცენტრალურ ხაზთან მოატყუა და წარმოქმნილ სიცარიელეში გაიჭრა, კარგად მიჰყვა შარიქაძე, რომელსაც პასი არ დაუგვიანა და კაპიტანმა პირველი ლელო ძელებს შორის გაიტანა.

ტაიმის შუაში მარცხენა ფრთაზე გაიშალა ხელდახელ შეტევა და ლელოში გიორგი კვესელაძე შევიდა, თუმცა მას მცველებმა დამინება არ დაანებეს. 33-ე წუთზე ხელდახელ მორიგ შეტევას მეორე ლამაზი ლელო მოჰყვა. გიორგი ჭყოიძემ რუმინელთა 22-ში მეტოქის დერეფანში მოიპოვა ბურთი, დაახლოებით 10-12 მეტრი ირბინა და 5-მეტრიანთან შეაჩერეს, ლობჟანიძემ რაქიდან სწრაფად გაიტანა ოვალი, აბჟანდაძემ გრძელი პასით სანდრო თოდუა მოძებნა და მანაც ალამთან ლელო გაიტანა. აბჟანდაძემ ორივე გარდასახა და ტაიმი – 17:0 დასრულდა.

პირველი ტაიმის მიწურულს რუმინელებმა მოლით შემოგვიტიეს, მაგრამ კარგად დავუხვდით. შესვენების შემდეგ ჩვენი მოლი უკვე რუმინელებმა შეაჩერეს, მაგრამ ჯარიმები მოუმრავლდათ და ალექსანდრუ სავინი ყვითელი ბარათით დაისაჯა. ამასობაში პირველი ხაზის ცვლილების დროც დადგა, 55-ე წუთზე მეტოქე შერკინებაში დავჯაბნეთ და საჯარიმო ლელო გამოვიმუშავეთ.

მეორე ტაიმის შუაში სტუმრები მეორედ შემოვიდნენ ჩვენს 22-ში, მათ მოლს ამჯერადაც დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ, თუმცა ეუჯენ კეპეცინამ ლელო მაინც გაიტანა და იონელ მელინტემ გარდასახა. დასკვნითი წუთები კვლავ საქართველოს იერიშებში გაილია და ხელდახელ კარგი შეტევის შემდეგ დავით ნინიაშვილს შეეძლო ლელოს გატანა, მაგრამ ფეხით შეცურებული ოვალი ვეღარ დაიმორჩილა. ბოლო წამზე მეოთხე ლელო მაინც გავიდა. რუმინელებს ჩვენს ნახევარზე მოლში ავართვით ბურთი, გელა აფრასიძემ ფეხით გადაკიდა, აკა ტაბუცაძემ ორ მცველს დაასწრო და ლელომდე ირბინა, ლუკა მატკავამ კი გარდასახვით საბოლოო შედეგი დაფიქსირა – 31:7.

ლევან მაისაშვილი:

– შარშან მეტოქე სათანადოდ ვერ დავაფასეთ და ერთგვარი მოულოდნელობა იყო მათი მხრიდან რაქში, მოლსა და შერკინებაში თამაში. რუმინეთი ძალისმიერი რაგბის მიმდევარია და ცდილობს, სწორედ აქ მოიპოვოს უპირატესობა. ვფიქრობ, ამჯერად მათ სრულად გავეცით პასუხი და, სხვა დანარჩენებთან ერთად, ამ კომპონენტებშიც სრულად ვდომინირებდით. ყველაზე კარგი კი ის იყო, რომ დასახულ გეგმას მივყევით, წელს საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ და დაგვიფასდა ვარჯიშებზე გაწეული შრომა.

გიორგი კვესელაძემ ფეხის უკანა კუნთი დაიზიანა. ტრავმის სიმძიმე დაახლოებით 2 დღის შემდეგ გვეცოდინება, როდესაც ზუსტი დიაგნოზი დადგინდება. ვიმედოვნებ სერიოზული არაფერი იქნება. პორტუგალიასთან მატჩის კვირაში ველოდებით ბექა გორგაძის დაბრუნებას, რომელიც რეაბილიტაციას ასრულებს და მომავალ კვირაში ვარჯიშს განაახლებს.

ფინალში პორტუგალიას ვეთამაშებით, რომელიც რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ შემდეგ უდავოდ საუკეთესო გუნდია. ის ესპანეთზეც ძლიერია და რუმინეთზეც, რაც დაამტკიცეს კიდეც. შარშან მათ ორჯერ შევხვდით და არცერთხელ ბოლომდე კმაყოფილი არ დავრჩენილვარ. იყო მიზეზები – კოვიდპანდემია თებერვალში და ენტეროვირუსი ზაფხულში. ამიტომ მათთვისაც პასუხი გვაქვს გასაცემი. გარდა ამისა, ეს არის ფინალი, რაც მოტივაციას ასმაგად ზრდის. იმედი მაქვს, ფინალისთვის კარგად მოვემზადებით და მსოფლიო თასამდე ყველა დაინახავს, სად არის საქართველო და სად პორტუგალია.

მერაბ შარიქაძე:

– რაგბი ზედმეტად გუნდური თამაშია იმისთვის, რომ ვინმეს თავი ყველაზე მაგარი ეგონოს. თუ ზურგს 14 მოთამაშე არ გიმაგრებს, კაპიკია შენი ფასი. არ არსებობს საუკეთესო მოთამაშე, არსებობს საუკეთესო გუნდი. რაც შეეხება ნახევარფინალსა და ანთიმოზ ივერიელის თასს, ძალიან მოტივირებულები ვიყავით, გვსურდა, ის საქართველოში დარჩენილიყო. ამავდროულად, სასწორზე იდო ფინალის საგზური. წინ საინტერესო ფინალი გველის, თუმცა, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ის ესპანეთში, პორტუგალიის საზღვარზე, ფაქტობრივად, პორტუგალიაში იმართება.

რაგბი ევროპის პრეზიდენტმა ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით თქვა – ასე იქნებ საქართველოს სადმე ფეხი დაუცდესო. იმედი მაქვს, ეს არ მოხდება. როდესაც ექვს ერში არაფერი იცვლება, მე ასეთი ცვლილება უსამართლობად მიმაჩნია, თუმცა ტიტული ასეც უნდა მოვიგოთ.

ბითაძემ და მამუკელაშვილმა ერთ დღეს ითამაშეს



ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში ერთ დღეს ორ ქართველს დიდი ხანია არ უთამაშია და ეს დღეც დადგა.

გოგა ბითაძის ორლანდომ შინ პორტლენდი მიიღო, ხოლო სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონო სტუმრად ჰიუსტონს ეთამაშა, მაგრამ მათი გუნდები დამარცხდნენ. უნდა ითქვას, რომ დიდად ვერც ჩვენებურებმა იყოჩაღეს.

ორლანდო 119:122 დამარცხდა.

მეჯიკს 27 მოგება და 38 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 პოზიციას იკავებს. მომდევნო მატჩს კი 8 მარტს შინ მილუოკი ბაქსთან გამართავს.

სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში მამუკელაშვილიც, რომელმაც პარკეტზე 17:17 წუთი დაჰყო. ჩვენებურმა ბევრი რამ მოასწრო: 6 ქულა, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა სამიდან ერთი სამქულიანი, ხუთიდან ასევე ერთი ორქულიანი და ერთი საჯარიმო ზუსტად ისროლა. მამუკელაშვილს 5 პერსონალური ფოლი და 1 დაკარგვაც ჰქონდა.

მამუკელაშვილის გუნდმა 110:142 წააგო და ახლა ტეხასელებს 16 მოგება და 49 მარცხი აქვთ, რაც დასავლეთ კონფერენციაში ბოლოსწინა, მე-14 ადგილის ტოლფასია. მომდევნო შეხვედრა კი 11 მარტს დენვერ ნაგეტსთან ელის.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

18.აიაჩო	26	6	3	17	20-47	21
19.ტრუა	26	4	8	14	36-57	20
20.ანჟე	26	2	4	20	21-58	10

ᲰᲝᲩᲘᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ. ᲰᲘᲛᲔᲗᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ

ჟილ ვისენტე-მარიტიმუ 2:0
სტ.კლარა-გიმარაეში 1:3

ᲜᲘᲪᲔᲩᲘᲜᲔᲑᲘ. ᲔᲩᲔᲚᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ექსელსიორი-სპარტა 1:4
ვალვაიკი-პსვ 0:1
აიაქსი-ნაიმეგენი 1:0
კამბური-იგლზი 4:1

ᲑᲔᲚ�გᲘᲐ. Ა ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სტ.ტრუიდენი-გენკი 2:2
ანტვერპენი-მეხელენი 5:0
გენტი-ანდერლეხტი 1:0
სენ ჟილუა-ეუპენი 2:1

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲩᲘᲚᲘᲒᲐ

ქონია-გირესუნი 0:0
ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ 2:1

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

კლაგენფურტი-ალტახი 3:0
ტიროლი-ლინცერი 2:3
რაპიდი-ზალცბურგი 2:4

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲰᲘᲛᲛᲘᲩᲘᲚᲘᲒᲐ

სტ.მირენი-სელტიკი 1:5

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲩᲘᲚᲘᲒᲐ

ოლიმპიაკოსი-ლევადიაკოსი 6:0
იანინა-ვოლოსი 0:1
ლამია-არისი 2:1
ოფი-აეკი 0:3
პაოკი-იონიკოსი 6:0

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲩᲘᲚᲘᲒᲐ

სტ.გალენი-გრასჰოპერსი 1:1
სიონი-ლუგანო 1:1
ციურიხი-სერვეტი 1:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:3
სლოვაკეკო-ბოლესლავი 2:1
ჩესკე-სლავია 1:0

ᲰᲝᲚᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲯᲚᲐᲡ

ლეგნიცა-იაგელონია 1:1
პოგონი-ჩენსტოხოვა 0:2
კრაკოვია-სლასკი 1:1

ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ. ᲰᲘᲛᲛᲘᲩᲘᲚᲘᲒᲐ

ვორსკლა-ზორია 2:3
მეტალისტი-რუხი 1:2
მეტალისტი 1925-შახტარი 0:7

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲩᲘᲚᲘᲒᲐ

ვიბორგი-რანდერსი 2:2
სილკებორგი-ნორდსიელანდი 2:1
ლუნგბიუ-ბრონდბიუ 1:0
კოპენჰაგენი-ოდენსე 7:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ტაშკენტის გრანდ სლემის მონაგარი – ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო

ტაშკენტის გრანდ სლემზე საქართველოს დელეგაციამ სამი მედალი მოიპოვა – ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსი.

ოქროს მედალი ირგუნა ვარლამ ლიპარტელიანმა (100კგ), რომელმაც ფინალში ავსტრიელი აარონ ფარა დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა. ოქროსკენ მიმავალ გზაზე ლიპარტელიანმა ბრაზილიელი ლეანდრო გონსალვეში, ყაზახი ნურლიხან შარხანი და იაპონელი კოტერო უეოკაც დაამარცხა.

57 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ეთერ ლიპარტელიანი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ჩვენებური ოქროსთვის ბრძოლაში იაპონელ მომო ტამაოკის დაეჭიდა და შეხვედრის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე შებოჭვაზე მოჰყვა.

მანამდე ლიპარტელიანმა მასპინძელ შუქურიონ ამინოვას, ბრაზილიელ ჯესიკა ლიმასა და ტაიპელ ჩენ-ლინგ ლიენს მოუგო.

ბრინჯაო მოიპოვა გელა ზაალიშვილმა (100). ჩვენებურმა ტაჯიკ ტემურ რახიმოვი ორჯერ დაადგო და მესამე ადგილი აიღო. ზაალიშვილმა მანამდე ასევე ტაჯიკი იბრაჰიმიონ ელმურადოვი დაამარცხა, მაგრამ კუბელ ენდი გრანდასთან წააგო და რეპეშაჟში გადაერთო, სადაც ასევე ყაზახ გალიმჟან კრიკბაიას მოუგო და მედლისთვის ჭიდაობის შანსი მიიღო.

მედლის მოპოვების შანსი ჰქონდათ ლუხუმ ჩხვიმიანსა (60) და სოფიო სომხიშვილს (+78).

ჩხვიმიანმა ჯერ ნახევარფინალში ნურკანატ სერიკბიაევთან წააგო, ბრინჯაოსთვის კი აზერბაიჯანელ აჰმად იუსუფოვთან დამარცხდა. მანამდე ჩხვიმიანმა გერმანელი მაქსიმილიან შტანდკესა და ფრანგი რომარიკ ბოუდას მოუგო.

სომხიშვილმა ტაიპეელი ფანგ ჩანგისა და ყაზახი კამილა ბერლიკაშის დამარცხების შემდეგ ჯერ ნახევარფინალში წააგო ჩინელ შიან ქსუსთან, შემდეგ კი მესამე ადგილისთვის თურქ ჰილალ ოზთურქთან ბრძოლაც დათმო.

ᲯᲮᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



შვეულად: 1. ცნობილი ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი; 2. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 3. მეუღლის ღალატი, მოტყუება; 4. აბანოს თანამშრომელი; 5. კომპანია „ფიატის“ დამფუძნებელი; 9. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 10. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 14. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებაში; 15. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ფსევდონიმი; 16. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 19. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი.

თარაზულად: 6. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი; 7. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 8. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 11. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 12. თბილისის მმართველი მე-12 საუკუნეში; 13. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 17. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 22. შამპანურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ფრანგული ვაზის ჯიში; 23. გონებაჩლუნგობის, ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 24. თურქეთის პრეზიდენტი; 25. ცნობილი შვედი კინორეჟისორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ტავერნა; 2. აბული; 3. მოძახილი; 4. დროზერა; 5. შამპანური; 9. აკვანი; 12. ტონიაცი; 14. კურტუა; 15. ჩილე; 17. ჯამნა; 18. ლიდა.

თარაზულად: 6. სამება; 7. კოტირება; 8. პეპელა; 10. ზეზვა; 11. პაპუაშვილი; 13. სკუბჩინა; 16. კოტეჯი; 19. იატაგანი; 20. ვალმარტი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ბენზემა; 2. პროტონი; 3. ამირეჯიბი; 4. კორომი; 5. მიკოზი; 9. წაბლი; 10. გრაფიტი; 14. ბერსალიერი; 15. სამშვილდე; 16. ბოტეგა; 19. ბორხესი; 20. გუთანი; 21. ანგარი.

თარაზულად: 6. დენდრარიუმი; 7. კომოციო; 8. აზარტი; 11. საკმაზი; 12. ენდრო; 13. წირქოლი; 17. ბარომეტრი; 18. დრომადერი; 22. შუშპარი; 23. გონდოლა; 24. მსტოვარი; 25. დედვეიტი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

7 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6009

ევრო — 2.7645

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1234

100 რუსული რუბლი — 3.4492

ამინდის პროგნოზი 7 მარტისათვის

კლოპი: „სეზონში საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ“

ლივერპულმა საკუთარ მოედანზე მანჩესტერ იუნაიტედი გაანადგურა 7:0. მატჩის შემდეგ იურგენ კლოპმა კომენტარი გააკეთა, რომ ეს შეხვედრა მისი გუნდისთვის სეზონში საუკეთესო იყო: „ასეთი ლივერპული მინდა ვიხილო ყოველთვის, თუმცა, სამწუხაროდ, ამის გაკეთება იოლი არ არის. დღეს ჩვენ მსოფლიოში ნებისმიერ გუნდს დავამარცხებდით და მიხარია, რომ გულშემატკივარი გავახარეთ. ოთხეულში მოსახვედრად აუცილებლად ვიბრძოლეთ“.

ხავი: „ვალენსიასთან რთული შეხვედრა მოვიგეთ“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა ვალენსიასთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მატჩი იმაზე რთული გამოდგა, ვიდრე ის ფიქრობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბარსელონა 10 კაცით დარჩა. ბარსელონამ მატჩი 1:0 მოიგო: „უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ, როდესაც 10 კაცით დავრჩით, სიტუაცია შეიცვალა და საბოლოოდ მიხარია, რომ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. თამაშის ხარისხი უნდა გამოვასწოროთ და მომავალში უფრო გაგვიადვილდება შედეგის მიღწევა“.

ბენზემა: „მომენტების უკეთ გამოყენება გვმართებს“

მადრიდის რეალმა სტუმრად ბეტისის დამარცხება ვერ შეძლო და თამაში ფრედ 0:0 დასრულდა. მატჩის შემდეგ რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ გუნდი თავის მომენტებს სათანადოდ ვერ იყენებს და ეს უნდა გამოსწორდეს: „ბეტისთან ცუდად არ გვითამაშია და გოლის გასატანად საკმარისი მომენტი შევქმენით, მაგრამ ისინი ვერ გამოვიყენეთ და ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა. ამ კომპონენტზე უნდა ვიმუშაოთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს, ადრე ყოველთვის ვამბობდი, რომ პირველი ორმოცდაათი წელი რთულია.

– კი, მახსოვს და მერე?

– გუშინ ვარჯიშის დროს მივხვდი, რომ პირველი ორმოცდაათი წელი ადვილი ყოფილა.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, როდესაც ახალი შეუღლებულები ვიყავით, შენთვის პატარა ნაჭრებს იღებდი და დიდებს მე მაძლევდი. ახლა კი პირიქითაა და აღარ გიყვარვარ?

– რა სისულელეა, უბრალოდ, ახლა უკეთესად ამზადებ საჭმელს.

•••

სახლში გვიან და მთვრალ მდგომარეობაში დაბრუნებულ ქმარს ცოლმა კარი გაუღო, შეათვალიერა და ეუბნება:

– შემოდი, ჩემო სუპერმენო!

ცოტა ხანში:

– გშია, ჩემო სუპერმენო?!

სადილობის შემდეგ ისევ ეკითხება:

– გეძინება, ჩემო სუპერმენო?!

ქმარმა ვეღარ მოითმინა და ეკითხება:

– რა გჭირს, რატომ მეძახი სუპერმენს?

– აბა, სუპერმენის გარდა, სხვას ვის აცვია ტრუსი შარვლის ზემოდან?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სათეატრო სფეროს წარმომადგენლები აგენტების კანონის წინააღმდეგ

სათეატრო სფეროს წარმომადგენლების სახელით თეატრმცოდნემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა თეა კახიანმა ღია წერილი გაავრცელა:

– სათეატრო სფეროს წარმომადგენლები ვეხმაურებით საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ „უცხოეთის გავლენის აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტს. მიგვაჩნია, რომ ამ კანონის არათუ მიღება, არამედ ინიციირებაც კი შეურაცხმყოფელია საქართველოს მოქალაქეებისათვის, ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებისათვის.

თანამედროვე ქართული სათეატრო სცენა, მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ახერხებს შექმნას სხვადასხვა გავლენისგან თავისუფალი, მრავალფეროვანი სასცენო პროდუქცია. არაერთი მათგანი საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოლაბორაციის შედეგია. ინიცირებული კანონის მიღებისა და ამოქმედების შემთხვევაში, არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ დაცული იქნება ჩვენი შემოქმედებითი თავისუფლება, რადგან კანონპროექტში ჩვენი საქმიანობის პირობად დასახელებული „კეთილსინდისიერება“ მოიცავს უსასრულო ინტერპრეტაციისა და მანიპულაციის სივრცეს და გვტოვებს ტოტალიტარიზმის საფრთხის პირისპირ.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ სფეროს, რომელსაც ყველაზე მძიმედ შეეხო საბჭოთა რეპრესიები. სიცოცხლე მოუსპეს და საქმიანობას ჩამოაშორეს ქართული თეატრის არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე. მძიმე ისტორიული გამოცდილება და საქართველოს კონსტიტუციით გამყარებული ევროპული ღირებულებებისკენ სწრაფვა გვავალდებულებს, გამოვხატოთ ჩვენი ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული კანონპროექტის მიმართ და მოვუწოდოთ ინიციატორებს მისი გამოწვევისაკენ.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი საყოველთაო პროტესტს უერთდება

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი და მისი ორგანიზატორი, კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“, საყოველთაო პროტესტს უერთდება საქართველოს პარლამენტართა ერთი ჯგუფის მიერ განსახილველად შემოტანილი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ:

– ჩვენ ვთვლით, რომ ეს კანონი მიმართულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარების წინააღმდეგ, ზოგადად დემოკრატიის პრინციპების წინააღმდეგ და მკვეთრად ანტიდასავლურ ხასიათს ატარებს. ამ კანონის მიღება ქვეყანას დაანგრევს, საბოლოოდ ჩამოაშორებს ევროპისკენ, კეთილდღეობისკენ, დაცულობისკენ მიმავალ გზას და ქვეყანას იზოლაციაში მოაქცევს, გადააქცევს რა მას ავტორიტარულ სახელმწიფოდ და რუსეთის სატელიტად. საქართველო დაკარგავს დამოუკიდებლობას.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის, ისევე, როგორც ბევრი სხვა კულტურული ღონისძიების ჩატარება წარმოუდგენელია უცხოელი პარტნიორებისა და დონორების დახმარების გარეშე. კანონის ამოქმედება უარყოფით გავლენას იქონიებს ჩვენი და საერთაშორისო პარტნიორების ურთიერთობაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საქართველოს ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო კინოფორუმის ჩატარებას.

იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა კინემატოგრაფისტი, მიუხედავად იმისა, კერძო სექტორშია დასაქმებული თუ სახელმწიფო სტრუქტურაში, შეუერთდება ქართველი საზოგადოების სამართლიან პროტესტს.

ნატალია ქუთათელაძე და დათუნა ალადაშვილი ახალ გადაცემას წაიყვანენ

მეცოსოპრანო ნატალია ქუთათელაძე და პიანისტი დათუნა ალადაშვილი პირველ არხზე ახალ გადაცემას წაიყვანენ.

9 მარტიდან ხუთშაბათობით მაყურებელი ახალ მუსიკალურ გადაცემაში „ნატალია &დათუნა“ მუსიკის ჭრილში ცნობილი ადამიანების ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს იხილავს.

ნატალიასა და დათუნას პირველი გადაცემის სტუმრები მომღერალი ნანი ბრეგვაძე, ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი და რეჟისორი დავით საყვარელიძე იქნებიან.

ლევან სონღულაშვილი დააჯილდოვეს

მხატვარი ლევან სონღულაშვილი დააჯილდოვეს. მას სპეციალური ჯილდო გადაეცა წლის საუკეთესო შემოქმედებითი ნამუშევრისთვის.

მხატვარი საუკეთესოდ ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე დაასახელეს, სადაც რჩეულები სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდნენ.

„რა ვუყო ამ სიყვარულს“ ლაიფციგის კინოფესტივალის გამარჯვებულია

გერმანელი კინოდოკუმენტალისტის მარიტა სტოკერის ფილმი „რა ვუყო ამ სიყვარულს“ ლაიფციგის კინოფესტივალის გამარჯვებულია. ფილმში მომღერალ ნინო ბაშარულის სიმღერა „ის ვაჟი“ ჟღერს.

ნინო ბაშარული: „რა ვუყო ამ სიყვარულს“ – ასე ჰქვია ფილმს, რომელმაც ლაიფციგის კინოფესტივალზე გაიმარჯვა. რეჟისორმა, გერმანელმა კინოდოკუმენტალისტმა მარიტა სტოკერმა დამირეკა და სიუჟეტის გაცნობის შემდეგ ნებართვა მთხოვა, რომ ჩემი სიმღერა „ის ვაჟი“ გაჟღერებულიყო ფილმში. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და მიხარია, რომ ევროპამაც გაიგო ჩვენი ქვეყნის გულის ფეთქვა, დარდები და ოცნებები.

ფილმში ძალიან ნაზად და ესთეტიკურადაა აღწერილია ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური სკოლის გარემო, წარმოუდგენელ პირობებში, მუსიკისადმი უპირობო სიყვარულის სახელით საოცარი პედაგოგების მიერ ნიჭიერ ბავშვთა აღზრდა და მერე, საქართველოში არარსებული პირობების გამო, ევროპაში მათი გაცილება, რაც დიდ, ენით აუწერელ სევდას უკავშირდება.

სად მიდიან ქართველი ნიჭიერი ბავშვები? ვინ რჩება ამ ქვეყანაში? როდის დაბრუნდებიან ისინი უკან? რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დაბრუნდნენ? როგორ შევქმნათ მუსიკოსთათვის სასურველი გარემო აქ, ჩვენს ქვეყანაში?

მადლობა მარიტას, რომ ჩვენი პრობლემები ასე ლამაზად, მაგრამ სულის ამაფორიაქებლად აღწერა, ისე, რომ მოსვენება დავკარგე და ვიფიქრე, ვიბრძოლო იმისთვის, რომ გარემო აუცილებლად შეიქმნას!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 მარტისათვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დრო. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისუსტვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვროსვოხდი ↄ



შვეულად: 1. გაუმაძღრობა, ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი; 2. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 3. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 4. მუსლიმთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 5. მევენახეობა-მეღვინეობის სახელწოდება; 12. კაზაკთა წინამძღოლი; 14. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 15. ფიჯის დედაქალაქი; 17. ავადმყოფური ლტოლვა, ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი; 18. ტბა თბილისში.

თარაზულად: 6. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 7. ნეპალის დედაქალაქი; 8. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 11. ადამიანი, რომელიც პირად წარმატებას საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს; 13. მატრიცების ამოსატვიფრი ფოლადის შტამპი; 16. მონებისა და დამნაშავეთა ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 20. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა